ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 2020

№246 (8510)

ფასი: 60 თეთრი

## ნინო კალანდაძე პროკურატურაში დაიბარეს



გვ.5

# „გახარია თუ წავა, მაია ცქიტიშვილს დანიშნავენ“



## თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ უნდა იცოდეს, რომ „ქართული ოცნება“ ხელახალ არჩევნებზე არ წავა“



გვ.2



გვ.3

## იაგო ხვიჩია: „პარლამენტში შესვლა მინდა, მაგრამ ვერ შევდივარ“

„გირჩი“ ბლოკებს უფრთხის და ვერც მათ საჭიროებას ხედავს“

## „თუ დღეს შევეგუებით, შემდეგი არჩევნები უფრო გაყალბდება“



გვ.3

კახა კოჟორიძე: „ქართულ ოცნებას“ პირადად გავუწევ კონსულტაციას, როგორ ჩაატაროს არჩევნები“

## მამუკა გიორგაძე: „რუსეთი საქართველოზე წერტილოვან დარტყმებს ქართველების ხელით ახორციელებს“

„სააკაშვილმა საკუთარი თავი თვითონ „ჩაუშვა“, როცა განაცხადა, რომ ამერიკელები 2003 წელს მოუწოდებდნენ, საქართველოში რევოლუცია არ მოეწყოთ“



გვ.3

## ჯემალ გამახარია: „რუსებს უნდათ, ენგურჰესის მართვა და ელექტროგადამცემი ხაზები ხელში ჩაიგდონ“



გვ.4

ISSN 1987-9385

2 „მეტრო არ გაჩერდება, მემანქანეებს ბელარუსიდან ჩამოვიყვანთ“

5 ნარკოტიკები კურიერს საკუთრივ გადაჰქონდა
28 წლის თ.ტ. დააკავეს

2 ელისაშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციისკენ აშკარად ნაბიჯებს დგამს“

6 ჰასან რუჰანი: „ტრამპიზმის დასრულება ირანელი ხალხის გამარჯვებაა“

# „გახარია თუ წავა, მაია ცქიტიშვილს დანიშნავენ“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ უნდა იცოდეს, რომ „ქართული ოცნება“ ხელახალ არჩევნებზე არ წავა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**



***– ბატონო თორნიკე, ორივე მხარე გაჯიუტდა, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. ოპოზიცია ხელახალ არჩევნებს ითხოვს, „ევროპული საქართველო“ აცხადებს, რომ სხვა შემოთავაზება არც კი განიხილება. რამდენად სწორი პოზიციაა?***

– დრო გამოაჩენს, სწორია თუ არასწორი. ფაქტია, ორივე მხარეს მიაჩნია, რომ სწორად იქცევა, ოპოზიციასაც და „ქართულ ოცნებასაც“. ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთი თავშეკავებულად, მაგრამ მაინც მოუწოდებს ოპოზიციას, პარლამენტში იბრძოლონ.

***– ელჩები კორექტულად, მაგრამ მაინც მოუწოდებენ, რომ შევიდნენ პარლამენტში?***

– კი, ასეა. სიმართლე გითხრათ, თავიდან მეც ასე ვფიქრობდი, იმიტომ, რომ პარლამენტის ტრიბუნის ხელიდან გაშვება არ არის სწორი ნაბიჯი, თუ არ გაქვს იმედი, რომ ეს მოგებას მოგიტანს. მოგება შეიძლება იმ შემთხვევაში მოგიტანოს, თუ „ოცნების“ ხელისუფლება ბრინჯივით ჩამოიბნევა და დაიშლება, ხოლო თუ არ მოხდება ის, რომ „ოცნებას“ ხელისუფლება ჩამოეშლება, მაშინ ეს პროცესი დასრულდება ოპოზიციის მარგინალიზაციით. სერიოზულ რისკზე მიდიან. იმედია, თავიანთი საქმე თვითონ უკეთ იციან. ვნახოთ, რომელი მხარის რისკი გაამართლებს.

***– ხელისუფლებას რის იმედი აქვს, როდესაც ასეთი კატეგორიულია? მეორე მხრივ, ფრთხილობს, როგორც ჩანს, არ უნდა ერთპარტიული პარლამენტი.***

– ხელისუფლება თამაშობს. ბუნებრივია, ის ეპრანჭება დასავლეთს, რომ აი, ყველაფერს აკეთებს, რათა პარლამენტი არ იყოს ერთპარტიული და ოპოზიციასთან ზის მოლაპარაკების მაგიდასთან. მინიმუმ ის უნდათ, რომ გამოჩნდნენ კარგ ბიჭებად დასავლეთის თვალში. ამას მიაღწიეს კიდევაც.

***– კარგი ტიპები არიან დასავლეთის თვალში?***

– კი, ასეა. თუ ვიმსჯელებთ დასავლეთის რეაქციებით, ამას მიაღწიეს. უფრო კონსტრუქციულები ჩანან.

***– ვიდრე ოპოზიცია?***

– ფაქტია, ასეა. ეს დასავლეთის გამონათქვამებში ჩანს. აპრილშიც, როცა იყო კონსტიტუციური ცვლილებების მიღების დრო, ოპოზიცია არ შევიდა პარლამენტში და არ დაესწრო კონსტიტუციური ცვლილებების მიღებას, მაშინაც აშკარა იყო და იგრძნობოდა დასავლეთის იმედგაცრუება ოპოზიციის ქმედებების გამო. როგორც ჩანს, ეს მომენტი დაიჭირა „ქართულმა ოცნებამ“ და ამაზე თამაშობს. ამ ყველაფერში მთავარი ის იქნება, ვინ მოიგებს საბოლოო ჯამში. ეს კი გამოჩნდება წელიწადში, წელიწად-ნახევარში, იმის მიხედვით, თუ როგორ გადააგორებს „ოცნების“ ხელისუფლება იმ კრიზისს, რომელიც გველოდება.

***– ნერვების ომი მიმდინარეობს? გამოცდას უწყობს „ქართული ოცნება“ ოპოზიციას?***

– არა მარტო ნერვების, რესურსებისაც. ამ ეტაპზე რესურსების ომია. რაც უფრო დიდხანს გაიწელება ეს ომი, რესურსები, ბუნებრივია, „ოცნებას“ აქვს მეტი. იმას ვგულისხმობ, რომ თუ ეს გაიწელება და გამოჩნდება, რომ „ოცნების“ ხელისუფლება, ასე თუ ისე, კრიზისს უმკლავდება, თუ გამოჩნდა, რომ ქვეყანასა და ხელისუფლებას ჩამონგრევა არ ემუქრება, ამ შემთხვევაში „ოცნებას“ ექნება უპირატესობა. როგორც ჩანს, ამის იმედზე არიან, რომ რაღაცნაირად გადააგორებენ ამ კრიზისს.

***– საკითხავია, რამდენად გადააგორებენ? უმძიმესი სიტუაციაა როგორც ეპიდემიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. შეზღუდვებზეა საუბარი, თუმცა, როგორც ჩანს, აქაც ფრთხილობენ. სრული ჩაკეტვა რამდენად იქნება გამოსავალი? შესაძლოა, ვირუსის გავრცელების ჯაჭვი გაწყვიტონ, მაგრამ ეკონომიკა დაემხოთ თავზე და ხალხი შიმშილით დაეხოცოთ. რომელ გზას აირჩევს ხელისუფლება?***

– მე ვფიქრობ, რომ მთლიანად არ ჩაკეტავენ, იქნება წერტილოვანი შეზღუდვები და დაელოდებიან, როდის მოგვისწრებს ვაქცინა, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ იმედები გაგვიცრუეს და პანდემიისთვის სათანადოდ ვერ მოემზადნენ. ვისი ბრალია ეს, არ ვიცი, ამას დრო გამოაჩენს, თუმცა ფაქტია, რომ ვერ მოემზადნენ ისე, როგორც საჭირო იყო. ისეთი წარმატების შემდეგ, როგორიც იყო გაზაფხულზე, ახლა მივიღეთ კატასტროფა. ზაფხული უნდა გამოეყენებინათ მომზადებისთვის. ფაქტია, ვერ გამოიყენეს. ვისი ბრალია ეს, პეტრესი თუ პავლესი, არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად გამოჩნდება. ფულიც მოიზიდეს ამისთვის და საინტერესოა, რატომ არ მოემზადნენ სათანადოდ!

***– ახლა რის იმედად არიან?***

– იმის, რომ ვაქცინა მოგვისწრებს, მანამდე როგორმე გადააგორებენ და ეკონომიკა ბოლომდე არ მოკვდება.

***– სერიოზულ ცვლილებებს ელიან მინისტრთა კაბინეტში...***

– არა მგონია, ეს ხმები სერიოზული იყოს. დღეს „ოცნებას“ ამის რესურსი არა აქვს. ადამიანი რესურსი, საკადრო არ გააჩნია. ამიტომ, არა მგონია, სერიოზული ცვლილებები განხორციელდეს.

***– ნათია მეზვრიშვილის წასვლამ სერიოზული ეჭვები გააჩინა, რომ გახარია მიდის. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

– ეს სხვა ამბავია და ერთი კაცის შეცვლა კიდევ არ იქნება ისეთი სერიოზული პრობლემა, მაგრამ მთელ კაბინეტს ვერ შეცვლიან.

***– ეკონომიკური გუნდიც გახარიასია და მათაც შეცვლიანო...***

– არა მგონია. როგორც ვიცი, თურნავა გახარიასგან დამოუკიდებელი ფიგურაა. ის გახარიას გუნდიდან არ არის. ჭორები რომ დადის, თალაკვაძე შს მინისტრადო, ესეც ძალიან არასერიოზულია. შს სამინისტროში ივანიშვილს ჰყავს თავისი კადრი. მისი დაცვის უფროსი, გომელაური, ჯერ ერთი, თავისი კაცია და მეორეც, ამ საქმის სპეციალისტია. თალაკვაძე საერთოდ რა შუაშია. ამიტომ მსგავსი ხმების არ მჯერა.

***– გახარიას ვინ შეცვლის?***

– თუ გახარია წავა, მაშინ – მაია ცქიტიშვილი.

***– ღარიბაშვილზეც დადის ხმები.***

– არა მგონია, ეს რეალური იყოს. აღარ დააბრუნებს. ივანიშვილიც ხვდება, რომ ახალი სისხლია საჭირო, თუნდაც ხალხის დასანახად. ღარიბაშვილის მობრუნება კი ძალიან ბევრს არ მოეწონება. ჯერჯერობით, ალბათ, ისევ გახარია იქნება და გარკვეული პერიოდის შემდეგ შეცვლიან. ოპოზიციამ ერთი რამ უნდა იცოდეს – დღეს „ქართული ოცნება“ ხელახალ არჩევნებზე არ წავა.

***– მაშინ, რა გამოდის, პარლამენტი ოპოზიციის გარეშე რჩება?***

– შევხედოთ. ნუ ვიჩქარებთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ძალიან მაინტერესებს, რა მოხდება, ამდენი პრანჭვის შემდეგ ვინ შევა ოპოზიციიდან პარლამენტში და მერე როგორ გაამართლებენ ამ შესვლას.

# ირაკლი კობახიძე: „ევროპული საქართველო“ ლუზერი პარტიაა“



– ამ არჩევნებს ჰყავს მკაფიო ე.წ. ლუზერები, რომლებმაც ყველაზე მეტი წააგეს ამ არჩევნებში. ეს არის „ევროპული საქართველო“. აქედან გამომდინარე, აშკარად არის გამოკვეთილი, რომ ეს პოლიტიკური პარტია არ სარგებლობს ძლიერი პოზიციებით და მეტი მოტივაცია აქვთ დესტრუქციის თვალსაზრისით.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში განაცხადა.

მისივე თქმით, სხვა პარტიებს აქვთ ნაკლები მოტივაცია და მათთან შესაძლებელია პოზიციების შეჯერება.

– ჩვენთვის არის ერთადერთი წითელი ხაზი, რაც არის დაკავშირებულ რიგგარეშე არჩევნებთან. ანუ, რიგგარეშე არჩევნები ჩვენთვის არის წითელი ხაზი, ყველა სხვა საკითხზე შეგვიძლია საუბარი და შეთანხმებების მიღწევა.

ოპოზიციის ერთ ნაწილს აქვს საკმაოდ ხისტი პოზიცია, თუმცა, არის ოპოზიციის მეორე ნაწილი, რომელსაც არ აქვს ასეთი ხისტი პოზიცია. როგორც გითხარით, ჩვენ გვაქვს ერთადერთი წითელი ხაზი, რაც რიგგარეშე არჩევნებს უკავშირდება და ამ წითელი ხაზის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ოპოზიციასთან შეთანხმება არის მიღწევადი.

გამოკვეთილია უკვე სურათი, ამ არჩევნებს ჰყავს მკაფიო ე.წ. ლუზერები, ვინც ყველაზე მეტი წააგო ამ არჩევნებში. ეს არის „ევროპული საქართველო“, რომლის მხარდაჭერა ჩამოვიდა 10-ზე მეტი პროცენტიდან 4-ზე ნაკლებ პროცენტამდე. იცით, რომ სულ 5 დეპუტატი შედის ამ პარტიის სახელით და მათგან 4 რეალურად ბოლომდე არაა დაკავშირებული ამ პოლიტიკური პარტიის ძირითად გუნდთან. აქედან გამომდინარე, აშკარად არის გამოკვეთილი, რომ ეს პოლიტიკური პარტია არ სარგებლობს ძლიერი პოზიციებით და მეტი მოტივაცია აქვს დესტრუქციის თვალსაზრისით.

რაც შეეხება სხვა პარტიებს, უმეტესობას აქვს ნაკლები მოტივაცია. აქედან გამომდინარე პოზიციები არის შეჯერებადი და მოლაპარაკებებში შესაძლებელია წარმატების მიღწევა, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# „მეტრო არ გაჩერდება, მემანქანეებს ბელარუსიდან ჩამოვიყვანთ“



– მეტრო არ გაჩერდება და შეუფერხებლად მოემსახურება მგზავრებს.

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მედიას განუცხადა.

დედაქალაქის მერმა მედიის მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა და განმარტა, რომ მეტროსადგურებში ხორციელდება მგზავრთა ნაკადის კონტროლი და როგორც მგზავრებს, ისე მეტროს თანამშრომლებს მოეთხოვებათ პირბადის ტარება.

– ჩვენ ბელარუსთან, კონკრეტულად მინსკთან, გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება დადებული, რომლის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა გვექნება, მემანქანეები ჩამოვიყვანოთ ბელარუსიდან. მეტრო არ გაჩერდება, მოემსახურება დედაქალაქის მოსახლეობას, – აღნიშნა კახა კალაძემ.

ამ ეტაპზე თბილისის მეტროპოლიტენში დარგის სპეციალისტების ყველა რეკომენდაცია სრულდება და მემანქანეების კორონავირუსზე ტესტირების პროცესიც ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს.

– სამწუხაროდ, ტესტირებებით გამოვლინდა 25-მდე თანამშრომლის ინფიცირების ფაქტი. თუმცა მეტროს ამ ეტაპზე არანაირი შეზღუდვები არ დაუწესებია, ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს და ემსახურება დედაქალაქის მოსახლეობას. ასე გაგრძელდება მომავალშიც.

პირბადის გარეშე მეტროში შესვლა შეუძლებელია და ზუსტად მაგის გამო აქვს ადგილი პატარა რიგებს მეტროს შესასვლელთან, რათა მგზავრები ეტაპობრივად შევიდნენ და ბაქანზე არ იყოს ბევრი ადამიანი. ჩვენ ვნახეთ, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა ორ მეტროსადგურში, მაგრამ დღეისათვის ეს პრობლემა არ არსებობს.

დამატებით რეგულაციებს რაც შეეხება, თუ იქნება დამატებითი მითითებები ეპიდემიოლოგების მხრიდან, ჩვენ მივიღებთ შესაბამის ზომებს, – განაცხადა კახა კალაძემ.

# ეკატერინე ტიკარაძე: „ჯანდაცვის სისტემას სჭირდება რეფორმები, რომლებიც მე დავგეგმე“



ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, ის წასვლას არ აპირებს.

ამის შესახებ მან „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში განაცხადა.

– მე არ ვთვლი, რომ არ გამომდის საქმე, ვთვლი, რომ ვაკეთებ ყველა საჭირო ქმედებას იმისათვის, რომ ქვეყანაში წარმატებით წარიმართოს პანდემიასთან მიმართებით ყველა ღონისძიება. ვთვლი, რომ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი და ამიტომ ჯანდაცვის სისტემას სჭირდება ის რეფორმები, რომლებიც მე მაქვს დაგეგმილი, – აღნიშნა ტიკარაძემ.

მინისტრმა ასევე ისაუბრა ინფიცირების მაღალი მაჩვენებლების მიზეზებზეც და აღნიშნა, რომ ზაფხულში ხელისუფლება იყო საკმაოდ ლიბერალური.

– ჩვენ ვიყავით საკმაოდ ლიბერალურები ზაფხულში, როდესაც გვქონდა ტურისტული სეზონი. მართალია ქვეყნის შიგნით, მაგრამ თავისუფალი გადაადგილებით. ჩვენ მივმართეთ გარკვეულ ლოკალურ შეზღუდვებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვრჩებოდით ლიბერალურები. ჩვენ გავითვალისწინეთ მოქალაქეების კონსტიტუციური უფლება და მხარი დავუჭირეთ არჩევნების ჩატარებას. ამით ავიღეთ გარკვეული პასუხისმგებლობა. შედეგად მივიღეთ გამოსვლები ქუჩებში, რამაც ხელი შეუწყო ინფექციის დამატებით გავრცელებას.

გვქონდა მეორე ტური და დღესდღეობით გვაქვს სწორედ ის შედეგი, რომ ჩვენ არ ვიყავით უფრო რადიკალურები და მკაცრები ინფექციასთან ბრძოლის კუთხით, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

მისივე თქმით, ზაფხულში ლიბერალური მიდგომა იყო შეცდომა.

– ეს იყო ჩემი შეცდომაც, ვინაიდან ალბათ არ ვიყავი საკმარისად მომთხოვნი და კატეგორიული იმ აკრძალვების შენარჩუნებაში, რომლებიც იყო თუნდაც გაზაფხულზე, – დასძინა მან.

# ელისაშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციისკენ აშკარად ნაბიჯებს დგამს“



– ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, რომ ოპოზიციისა და „ქართული ოცნების“ პოზიციები დაახლოვდეს – აშკარად პროგრესია.

ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის რეზიდენციის დატოვების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, მიდის სამზადისი მესამე რაუნდისთვის, რომელიც ნაყოფიერად უნდა დასრულდეს.

„მიდის ინტენსიური მუშაობა, რომ ოპოზიციისა და „ქართული ოცნების“ პოზიციები დაახლოვდეს, აშკარად პროგრესია. ძალიან ნელა, წვალებით, რთულად, მაგრამ დღეს პოზიციები გაცილებით მეტადაა დაახლოებული, ვიდრე წინა დღეებში იყო. ხელისუფლება ოპოზიციისკენ აშკარად ნაბიჯებს დგამს. ტენდენცია პოზიტიურია, „ქართულმა ოცნებამ“ გააცნობიერა კრიზისი, გააცნობიერა, თუ როგორი ზამთარი გველის, გააცნობიერა პერსპექტივა იმის, რომ ერთპარტიული პარლამენტი როგორი სამარცხვინო შეიძლება იყოს. წითელი ხაზები ისევ არსებობს, მაგრამ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯებია. შესაბამისად, ოპტიმიზმი მომატებული მაქვს.

ოპოზიციას ძალიან მცირე სივრცე აქვს კომპრომისისთვის, ნაბიჯები ხელისუფლებამ უნდა გადმოდგას და, როგორც ჩანს, ამის მზაობაა. ფაქტია, რომ დღევანდელი დღე სამზადისია მესამე რაუნდისთვის, რომელიც ნაყოფიერად უნდა დასრულდეს. დღეს რა აზრთა გაცვლა-გამოცვლაც იყო, ძალიან მკაფიოა, რაც მისასალმებელია, – განაცხადა ელისაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# იაგო ხვიჩია: „პარლამენტში შესვლა მინდა, მაგრამ ვერ შევდივარ“

## „გირჩი“ ბლოკებს უფრთხის და ვერც მათ საჭიროებას ხედავს“

იაგო ნაცვლიშვილი

**ჩანს თუ არა შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი? ხომ არ იგრძნობა „ქართული ოცნების“ მხრიდან მოლაპარაკების იმიტაციის მცდელობა? ხომ არ აზიანებს პროცესს ირაკლი კობახიძე თავისი განცხადებებით? რამდენად რეალურია გავრცელებული ინფორმაცია, რომ „გირჩი“ ბლოკს ქმნის „სტრატეგია აღმაშენებელთან“, „ლელოსთან“ და „ევროპულ საქართველოსთან“? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია საუბრობს.**

***– ხედავთ თუ არა რაიმე ნიშანს, რომ კრიზისი განიმუხტოს და ამისთვის თავად ხელისუფლების მოწადინება ჩანდეს?***

– ჯერჯერობით ვერ ვხედავ იმის ნიშანს, რომ ხელისუფლების კრიზისის გადაჭრისთვის იყოს მოწადინებული, იმიტომ, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან ძალიან ინერტულია. ეს პროცესი, რომელიც ასე გაიწელა და ის, რომ ფაქტობრივად მეორე ტური ჩავატარეთ სამარცხვინოდ, გამოწვეული იყო იმით, როგორც იქცეოდა ამ პერიოდის განმავლობაში „ქართული ოცნება“. სადამდე გაგრძელდება ეს, არ ვიცით, მაგრამ, იმედს ვიტოვებთ, რომ რაღაც მომენტში ეს შეწყდება, ვინაიდან ეს პროცესი სილაში თავის ჩარგვას ჰგავს.

***– ხელისუფლების მხრიდან იმის მცდელობას ხომ არ ხედავთ, რომ მოლაპარაკებების იმიტაცია შექმნას, რათა სათქმელად ჰქონდეს, რომ აი, ჩვენ ვცადეთ რაღაცები, მაგრამ ოპოზიცია ულტიმატუმის ენით გველაპარაკებოდაო?***

– არ ვიცი, ძალიან რთულია თქმა, რომ ხელისუფლება მოლაპარაკების ფაბრიკაციას ახდენს. შეიძლება, ასე მოხდეს და საბოლოო ჯამში ასე გამოვიდეს, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ დამთავრდება მოლაპარაკება.

***– ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ უმრავლესობას აქვს ბერკეტი იმისა, რომ ოპოზიციას არ შეუწყვიტოს საპარლამენტო მანდატები. ეს განცხადება როგორ უნდა გავიგოთ, კობახიძე ოპოზიციას გაშანტაჟებთ?***

– არ ვიცი. მე თავს დაშანტაჟებულად არ ვთვლი. მე მინდა პარლამენტში შესვლა, მაგრამ ვერ შევდივარ იმის გამო, რომ პარლამენტი არ არის. იმ შენობაში, სადაც გვეუბნებიან, შედით, აქ არის პარლამენტიო, შესვლა უხერხულია. ასე მოაწყო „ქართულმა ოცნებამ“ ვითარება. აქედან გამომდინარე, ის კი არ არის მთავარი, რომ დაემუქრონ, შედით პარლამენტშიო, არამედ დაელაპარაკონ, რათა თავიანთი ნებით შევიდნენ. იმ პარლამენტში ყოფნა რომ არასერიოზულია, მგონი, მაგას ჩემი კომენტარი არ სჭირდება.

***– დროდადრო ასეთი ინფორმაციებიც ვრცელდება, რომ „გირჩი“ ფიქრობს პარლამენტში შესვლაზე. ამაზე რას იტყოდით?***

– მართალია. მეც ვახსენე, რომ პარლამენტში შევლა გვინდა, მაგრამ პარლამენტი არ არის. „გირჩი“ პარლამენტში შესვლისთვის იბრძოდა და იმიტომ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

***– დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით ვსვამ ამ კითხვას.***

– დღევანდელი მოცემულობით, „გირჩი“ პარლამენტში რომ შედიოდეს, აქამდე შესული იქნებოდა და ამას ყველა გაიგებდით.

***– რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას იმისთვის, რაც პარლამენტში შესვლაზე დაგითანხმებდათ? გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც ოპოზიცია აყენებთ, თუ არის კიდევ რამე, რაზეც წახვიდოდით?***

– არა, მე მგონი, ამ ფორმატით მაგაზე საუბარი არასერიოზულია. ასეთი საკითხები მოლაპარაკების მაგიდასთან წყდება. იქ სხედან როგორც ჩვენი, ისე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ვფიქრობ, ეს საკითხები იქ უნდა გაირჩეს და არა მედიის საშუალებით. მაგ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან ჯერჯერობით რა პროცესზეც არის გაჩერებული მოლაპარაკებები, იქ „ქართული ოცნების“ სიტყვაა მოსატანი. მოლაპარაკების მაგიდასთან ჩვენ ვართ ღია და გახსნილი ზოგადად სალაპარაკოდ. ეს არის ჩვენი პოზიცია და საჯაროდ ცნობილია, მაგრამ ტელეეთერისა თუ მედიის საშუალებით საუბარი არაფერ შუაშია ამასთან.

***– ოპოზიცია თუ ხართ მზად კომპრომისისთვის?***

– კომპრომისში ბევრი ადამიანი სხვადასხვა რამეს გულისხმობს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან ზიხარ, ნიშნავს, რომ გარკვეული კომპრომისისთვის ხარ მზად და მოლაპარაკების წინ საუბარი, არ ვარ კომპრომისისთვის მზადო, არა მგონია, სწორი იყოს.

***– რა შეიძლება იყოს ეს კომპრომისი ოპოზიციისგან?***

– ვერ გეტყვით. ცდილობთ, რაღაცა მათქმევინოთ, მაგრამ, ჯერ ერთი, არც ვიცი, რადგან მოლაპარაკების პროცესი იქ არის და ვერ გეტყვით, რა შეიძლება იყოს კომპრომისი. ეს დამოკიდებულია მოლაპარაკების პროცესზე და არა იმაზე, რომ ვილაცა კომპრომისისთვის გამოხატავს მზაობას. პროცესმა უნდა გვაჩვენოს ეს. ახლა ამის თქმა შეუძლებელია.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე პარტია მსჯელობთ ბლოკისა და თუ კოალიციის შექმნაზე და მათ შორის დასახელდა „გირჩიც“. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია რეალობას?***

– არა, რეალური არ არის. ჩვენ ამაზე განცხადებაც გავაკეთეთ. „გირჩი“ არავისთან განიხილავს კოალიციის შექმნას.

***– ანუ თქვენ პოლიტიკურ საქმიანობას დამოუკიდებელ პარტიად გააგრძელებთ, უბრალოდ, თანამშრომლობა გექნებათ სხვადასხვა პარტიასთან თემატურ საკითხებზე?***

– რასაკვირველია. ჩვენ ყველასთან ვთანამშრომლობთ იმ საკითხებზე, რომლებიც გვაინტერესებს და სხვა პარტიებსაც აინტერესებთ. ყველასთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ოპოზიციაში. ჩვენ მზად ვართ მათთან ურთიერთობის გაგრძელებისთვის, მაგრამ პოლიტიკურ ბლოკებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, იმიტომ, რომ ვადამდელისთვის ბლოკებს არავინ განიხილავს, 4 წლის შემდეგ კი რა მოხდება, კაცმა არ იცის, მაგრამ ჩვენ, ზოგადად, არ ვართ ბლოკებისკენ მიდრეკილი ხალხი.

ჩვენ დავიწყეთ პოლიტიკური მოღვაწეობა ბლოკშიც, თუმცა ის არ გამოდგა წარმატებული, ამიტომ ამ ამბავს ვუფრთხით. ასე რომ, გავრცელებული ინფორმაცია არ იყო მართებული.

***– გაიხსენეთ წარსული, როდესაც ბლოკში იყავით და იმ წარსული გამოცდილების გამო უფრთხით თუ იმის გამო, რომ თვლით, თქვენი სადარი პარტია არ არის დღეს ქართულ პოლიტიკაში?***

– რას ნიშნავს ჩვენი სადარი, არ ვიცი, მაგრამ ჩვენნაირი პარტია რომ არ არის ქართულ პოლიტიკაში, ეგ ისედაც გასაგებია. სადარი ცოტა არაზუსტი სიტყვაა.

***– იმას ვგულისხმობ, რომ ქართული რეალობისთვის „გირჩი“ არატრადიციული პოლიტიკური პარტიაა.***



– კი ბატონო, მაგრამ ეგ არ გვიშლის ხელს, რომ ადამიანებთან ვითანამშრომლოთ და ურთიერთობა გვქონდეს. ბევრ საკითხზე ჩვენ შევუთანხმდებით, რაც მათ აინტერესებთ და ისინი შეგვითანხმებენ ჩვენ. ბლოკი სხვა თემაა. ჩვენ ვერ ვხედავთ ბლოკის საჭიროებას. ახლა სხვა პროცესში ვართ და რა დროს ეგ არის!

***– რას ელით, გამოვა ქვეყანა კრიზისიდან?***

– მე ვარ გამოუსწორებელი ოპტიმისტი და სულ კარგზე ვფიქრობ. ამიტომ მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ერთია მოლოდინი და მეორეა პროცესი. ვმონაწილეობთ მოლაპარაკების პროცესში და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ კრიზისიდან გამოვიდეთ. შემიძლია გითხრათ, რომ მცდელობას არ დავაკლებთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ პარტიაზე არ არის დამოკიდებული.

***– ხელს ხომ არ უშლის პროცესს ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადება? მაგალითად, ირაკლი კობახიძე გამოირჩევა ხმაურიანი განცხადებებით.***

– ირაკლი კობახიძე არის ისეთი, როგორიც არის. მე არ ვთვლი თავს ვალდებულად და არც უფლებამოსილად, ირაკლი კობახიძის გამოსწორებაზე ვიზრუნო. ის ისეთი იქნება, როგორიც არის და ამას უნდა შევეგუოთ. უმჯობესია, ჩვენს თავს მივხედოთ. ამ მიმართულებით ვმოძრაობთ. კი, ირაკლი კობახიძე გვიშლის ხელს, მაგრამ, რომ ვთქვათ, ირაკლი კობახიძე გვიშლის ხელსო, ამის გამო ის არ შეწყვეტს ხელის შეშლას. ზოგადად, ამის გამო არაფერი შეიცვლება, რომ ირაკლი კობახიძე დავახასიათო.

# მამუკა გიორგაძე: „რუსეთი საქართველოზე წერტილოვან დარტყმებს ქართველების ხელით ახორციელებს“

## „სააკაშვილმა საკუთარი თავი თვითონ „ჩაუშვა“, როცა განაცხადა, რომ ამერიკელები 2003 წელს მოუწოდებდნენ, საქართველოში რევოლუცია არ მოეწყოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ მამუკა გიორგაძეს, რომლის ადრინდელი შეფასებები ემთხვევა დასავლელი კომენტატორების ბოლოდროინდელ გამონათქვამებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.**

***– აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დევიდ კრამერი ეხმაურება საქართველოს მოვლენებს. იგი აცხადებს, რომ უწყვეტი პოლიტიკური პარალიზება აწყობს ერთადერთ მოთამაშეს და ეს მოსკოვია. მისი თქმით, ბატონი პუტინი ბედნიერი იქნება იმით, რომ საქართველოში პოლიტიკური ქაოსი გაგრძელდეს. თქვენ ამაზე წინა წლებშიც საუბრობდით, ახლანდელი პოლიტიკური პოსტსაარჩევნო ქაოსიც რუსეთს დაუკავშირეთ.***

– დიახ, საქართველოში ქაოსი და დესტაბილიზაცია რუსეთს აძლევს ხელს და ბევრი დესტრუქციული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ჩრდილოეთიდან მომდინარეობს. რუსეთი სუსტდება. მას არ შესწევს ძალა, მოახდინოს საქართველოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური კუთხით. მოსკოვს საკუთარ ფედერაციაშიც გაუჭირდა. ამის ერთი მაგალითია ხაბაროვსკის მოვლენები. საქართველოზე საგულისხმო ზემოქმედებას რუსეთი ვერ ახდენს, თუმცა მას შერჩა წერტილოვანი დარტყმების განხორციელების შესაძლებლობა. რუსეთის გათვლით, საქართველო არ უნდა იყოს სახელმწიფო. მას არ უნდა ჰქონდეს მდგრადი განვითარების უნარი. აქ უნდა იყოს ქაოსი და დესტაბილიზაცია. საკუთარი მიზნებისთვის კრემლს ამოქმედებული ჰყავს თავისი აგენტურა.

***– რომელიც უხვადაა ყველა სფეროში, განსაკუთრებით – პოლიტიკაში.***

– რასაკვირველია. რუსეთი თავის ბნელ საქმეს საქართველოში ქართველების ხელით აკეთებს. ეს ახალი მეთოდი არ არის. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში მოყვანილია პანოვის წერილი



**„სამოქალაქო და მედიასექტორი ოპოზიციისაა, ადმინისტრაცია, ძალოვნები და ბიზნესი – ხელისუფლების“**

ტოტლებენისადმი. მასში იკითხება, როგორ უნდა იმოქმედოს რუსეთმა ქართველების ხელით. ახლაც იგივე ხდება. უნდა იყოს არეულობა, არ უნდა არსებობდეს პოზიტიური დღის წესრიგი, ქვეყანა არ უნდა განვითარდეს, არ უნდა გახდეს დასავლეთის ნაწილი. ე.წ. ოპოზიცია ყვირის, რომ ივანიშვილის ხელისუფლება ღუპავს და ანგრევს ქვეყანას, ხელისუფლება კი ამბობს, რომ ქვეყანა დააქცია სააკაშვილმა.

***– ბოლო დროს აქტუალურია ახალ პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი.***

– ესეც ხომ ნეგატიური დღის წესრიგია! რომ შეხვიდე პარლამენტში, რას გააკეთებ? თუ არ შედიხარ, გვითხარი, მაშინ რას აპირებ! მომწონხარ თუ არა, თუ სწორად იქცევი, გვერდით დაგიდგები! ძალაუფლება თვითმიზანი ხომ არ არის! ნებისმიერი შემთხვევისათვის უნდა გქონდეს სტრატეგია, პროგრამა, გეგმა და ყოველდღიური დღის წესრიგი. თუ არ გაქვს, პარტია არ ყოფილხარ.

***– არენაზე მყოფ პარტიებს ასეთი გეგმები არა აქვთ?***

– არა აქვთ. რომ ჰქონდეთ, ხომ არ იჭოჭმანებდნენ. გვეუბნებიან, ჩვენს პოზიციას ამა და ამ დღეს გაგაგებინებთო. მიმდინარე პროცესების მიმართ ასეთი დამოკიდებულებაა. დაპირისპირებული მხარეები – ქოცები, ნაცები და მათი ხელის ბიჭები მონაწილეობენ დესტაბილიზაციაში ანუ პოლიტიკურ სპექტაკლში. ისინი იყოფენ საქართველოს. „კავკასიურ ცარცის წრეში“ გაყოფის სცენას იმეორებენ. ჩვენს შემთხვევაში ისინი ინაწილებენ საქართველოს, თან ისე, რომ მასზე გული ოდნავადაც არ შესტკივათ. ორივე მთავარი სუბიექტი და მათი სატელიტები ქვეყანას მუდმივად ტურბულენტურ მდგომარეობაში ამყოფებენ. ჩვენ ვუყურებთ უნიათოებისა და ბოროტების ორთაბრძოლას და ამას ბოლო არ უჩანს.

***– დამოუკიდებელი ექსპერტები იმედს აშშ-ზე ამყარებენ. ითვლება, რომ ამერიკის ინტერესი საქართველოს მიმართ ძლიერდება, ვაშინგტონი კი რუსეთის მიმართ უფრო გამკაცრდება და საქართველოს საშველი დაადგება.***

– აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა და ინტერესი საქართველოსადმი გაცხადებულია. ინტერესი არსებობს. აშშ-ის ადმინისტრაციის შეცვლით ბევრი არაფერი შეიცვლება. მთავარია, ჩვენ თუ ვიქნებით მათი ღირსეული პარტნიორები? ჩვენ თუ გადავდგამთ ნაბიჯებს დამოუკიდებელი სასამართლოს, რეალური თვითმმართველობს დასამყარებლად? ეს ხომ ჩვენ გვჭირდება! ამერიკა გვეხმარება, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენ გვესაჭიროება. თუ სტაბილურობა არ დავამყარეთ, უცხოური ინვესტიციები როგორ შემოვა?! 30 წელიწადი გავიდა და დემოკრატიისთვის არაფერი გაგვიკეთებია.

***– თითქმის ყველა ხელისუფლება აცხადებდა, რომ დემოკრატიისთვის ბევრს აკეთებს.***

– საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას 30 წლის განმავლობაში არ გაუწევია დასავლეთისათვის ნორმალური პარტნიორობა. დასავლეთის ინსტიტუტების განცხადებებიდან იმას იღებდნენ, რაც თვითონ აწყობდათ. ჩვენ ბევრ რამეში ვიყავით ჩახედული, თუმცა ხალხმა არ იცოდა, რა დონეზე ერეოდა რუსეთი ჩვენს საქმეებში. აგერ ახლა სააკაშვილმა საკუთარი თავი თვითონ ჩაუშვა, როცა განაცხადა, რომ 2003 წელს ამერიკელები მოუწოდებდნენ, არ მოეწყოთ რევოლუცია საქართველოში. საზოგადოებას სჯეროდა, რომ „ვარდების რევოლუცია“ დასავლეთიდან წამოვიდა. სააკაშვილი თავისი პირით აღიარებს იმას, რაც საზოგადოების ნაწილმა დიდი ხანია ვიცით. ჩვენთვის კარგა ხანია ცნობილია, რომ 2003 წლის მოვლენები მოაწყო კრემლმა. ეს რომ მაშინ გაგვეცხადებინა, გიჟებად მოგვნათლავდნენ. სააკაშვილი ამბობს, რომ დასავლეთი მაშინ რევოლუციის წინააღმდეგი იყო. ესე იგი, ის აღიარებს, რომ ის ამბები რუსეთმა დაგეგმა და განახორციელა. დესტაბილიზაცია საქართველოში დასავლეთს დღესაც არ უნდა.

***– დღეს სხვა სიტუაციაა?***

– სპექტაკლში ჩართული ორივე მხარე. სააკაშვილი ცნობილია თავისი ჩარეცხვებით, ივანიშვილი – შუას გაკრეფით.

***– ხელახალ არჩევნებზეც საუბრობენ. ეს ოპოზიციის მოთხოვნაა.***

– სამართლიანი არჩევნები და ნორმალური საარჩევნო კანონმდებლობა მუდმივ პრობლემად გვექცა. ერთი წლის წინ ვაცხადებდი, რომ არსებული საარჩევნო კოდექსით ნორმალური არჩევნები ვერ გაიმართებოდა. ეს ოპოზიცია კი მესამეხარისხოვან წვრილმანებზე ტეხდა ხმაურს. გაიძახოდა, რომ მთავარი პროპორციული არჩევნებია. ბოლოს პროპორციულთან მიახლოებული მოდელი მოიწონეს. ამ სიტუაციაში ხელახალი არჩევნების თემით ხდება პოზიტიური დღის წესრიგის გადაფარვა. ეს არის კიდევ ერთი საბაბი იმისათვის, რომ სიტუაცია არ დამშვიდდეს. არავინ ფიქრობს იმაზე, როგორ აისახება ეს ქაოსი სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე და ა.შ. საგულისხმოა, რომ „მთავარი“ სუბიექტები მუდმივად ეძახიან ერთმანეთს რუსეთის აგენტებს. ამაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არავის უცდია. ამასობაში წაიშალა სახელმწიფოს, სამშობლოს, წესიერების, პატიოსნების, თავდადების ცნებები. კინკლაობაში იქამდე შეტოპეს, რომ მმართველი პარტია არჩევნების გაყალბებას აბრალებს ოპოზიციურ ნაციონალურ მოძრაობას. ხელისუფლება პანდემიის ახალ შემოტევასაც ოპოზიციას აბრალებს. ეს სუბიექტები ერთმანეთის მეხამრიდები არიან, ერთმანეთის შეურაცხყოფაში იწაფებიან, ქვეყნის რესურსები კი გადანაწილებული აქვთ.

# „თუ დღეს შევეგუებით, შემდეგი არჩევნები უფრო გაყალბდება“

## კახა კოჟორიძე: „ქართულ ოცნებას“ პირადად გავუწევ კონსულტაციას, როგორ ჩაატაროს არჩევნები“

ნათია ხურცილავა

**„ლელოს“ წარმომადგენელი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო კახა, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისგან თქვენ რას ელოდებით?***

– ძალიან არაპროგნოზირებადი სიტუაციაა და რთულია განსაზღვრო, რა მოხდება. ბიძინა ივანიშვილი არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც პოლიტიკურად ძალიან არაპროგნოზირებადია. მისი მოქმედებები პროგნოზს არ ექვემდებარება. ამიტომ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს დღეს არავინ იცის. ძალიან ბევრი ვარიანტი შეიძლება არსებობდეს, თუმცა, ზუსტად შემიძლია გითხრათ, რა სჭირდება დღეს სახელმწიფოს.

ის შედეგი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ცესკომ დაუწერა, არ უნდა დარჩეს და უნდა შეიცვალოს. ამიტომ არის საჭირო არჩევნები. თუ ეს მოცემულობა არ შეიცვლება, მომავალში კიდევ უფრო მძიმე მოცემულობის წინაშე დავდგებით. თუ ეს არჩევნები ყველაზე ცუდი არჩევნები იყო, რაც „ქართულ ოცნებას“ ჩაუტარებია, მორიგი არჩევნები ამაზე უარესი იქნება. გაყალბების რისკი ბევრად მეტი იქნება მომავალში. ამიტომ, თუ ამას შევეგუებით, ასევე უნდა შევეგუოთ იმასაც, რომ სახელმწიფო, პრაქტიკულად, აღარ გვექნება. უკვე სხვადასხვა სექტორიდან ადამიანები ხელისუფლებას პირდაპირ ეუბნებიან, რომ გაყალბებული არჩევნების შედეგად მიიღო ეს მონაცემები.

***– როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?***

– ეპიდემიური ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება, ქუჩის აქციები აღარ იყოს იმ მასშტაბის, რაც აქამდე იყო.

***– ოპოზიციას დაჰბრალდა ინფიცირებულთა რაოდენობის კატასტროფული ზრდა. ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიცია უპასუხისმგებლოდ მოიქცა. რას უპასუხებთ?***



– ირაკლი კობახიძე ახლა ამ მესიჯს რომ ჩამოეკიდება, ესეც გასაგებია, თუმცა, კარგად უნდა ესმოდეს, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ ნებისმიერ სიტუაციაზე ხელისუფლებას აქვს. თუ ყველაფერი ოპოზიციის ბრალია, მაშინ მართვის ბერკეტებიც ოპოზიციას გადააბარონ.

ოპოზიციამ ყველა აქცია ღია ცის ქვეშ გამართა. ღია სივრცეში კი ვირუსის გავრცელების იმაზე დაბალი რისკია, ვიდრე ნებისმიერ მაღაზიაში, ნებისმიერ რიგში. რატომ არ იხსენებენ დენდროლოგიურ პარკში სახელდახელოდ მიყვანილ ხალხს, იმ რიგებს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მათ წინასაარჩევნო კამპანიას ემსახურებოდა? სწორედ აჭარიდან დაიწყო ეპიდემიამ აფეთქება. ეს რატომ არ ახსოვთ?! რატომ არ ახსოვთ თუნდაც რესტორნებში მიყვანილი კოორდინატორები და აქტივისტები?! ასევე ვნახეთ ხელისუფლების ოჯახის წვერების ქორწილები, ქეიფები. ამაზე რატომ არაფერს ამბობენ?!

ზაფხულის პერიოდი რატომ დაკარგეს, რატომ ვერ შეძლეს მომზადება? ხომ შეიძლებოდა ამ ყველაფრის განჭვრეტა, ამ რისკების გათვლა?! ამაზე რა პასუხი აქვთ, ამაზე რატომ არ საუბრობენ?!

***– ოპოზიციას გადაჭარბებული მოლოდინი ხომ არ აქვს თუნდაც ვადამდელი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით? „ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ რიგგარეშე არჩევნები ინიშნება რეალური პოლიტიკური კრიზისის დროს, ან ბიუჯეტი თუ ჩავარდება, ან მთავრობას თუ არ გამოუცხადებს ნდობას პარლამენტი.***

– ქვეყანაში არჩევნები რომ ჩატარდეს, ამისთვის მხოლოდ ერთადერთი რამეა საჭირო – პოლიტიკური ნება და სახელმწიფოებრივად ამ საჭიროების გააზრება. თუ ეს ორი კომპონენტი იარსებებს, მერე უკვე სამართლებრივად შეიძლება ამის გამართვა ისე, რომ არც კონსტიტუცია დაირღვეს და არც კანონი. ჯერ „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდეს იმაზე, რომ ეს ნაბიჯი არის გადასადგმელი არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამოსასვლელად და მერე პირადად გავუწევ კონსულტაციას, როგორ გაკეთდეს ეს ყველაფერი.

რაც შეეხება კითხვას, გადაჭარბებულია თუ არა მოლოდინი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, შემიძლია გითხრათ, რომ ეს მხოლოდ ერთადერთ ფაქტორზეა დამოკიდებული და ეს ფაქტორი არ არის ბიძინა ივანიშვილი. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ხალხსა და მის ნებაზეა დამოკიდებული. რა გადაწყვეტილებასაც მიიღებენ ამ ქვეყნის მოქალაქეები, სწორედ ისე იქნება ყველაფერი. თუ ხალხის ნება მტკიცე იქნება არალეგიტიმურად არჩეულ ხელისუფლებასთან დაკავშირებით, მის ნებას წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება. ეს ცალსახაა.

დიახ, ბიძინა ივანიშვილი არის ამ ქვეყნის ერთპიროვნული ხელისუფალი და მმართველი, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, როგორ იქცევა ივანიშვილი, მთავარია, ჩვენ როგორ ვიქცევით ამ რეალობაში. ივანიშვილის მოქმედების შეცვლა მხოლოდ ერთ რამეს – ხალხის მოქმედებას შეუძლია.

# ჯემალ გამახარია: „რუსებს უნდათ, ენგურჰესის მართვა და ელექტროგადამცემი ხაზები ხელში ჩაიგდონ“



გულიკო ბალაძე

***„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.***

***– ბატონო ჯემალ, რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში ძლიერდება. რა ხდება ამ მხრივ აფხაზეთში?***

– რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში ძლიერდება. სამწუხაროდ, დღეს ეს ასე ჩანს. დამატებითი რუსული სამხედრო ძალების შემოყვანა, მას სამშვიდობო ჰქვია თუ საოკუპაციო, მნიშვნელობა არ აქვს, რუსეთისთვის ეს ერთი და იგივეა.

***– რუსები ჩვენთანაც ვითომ სამშვიდობო ძალები იყვნენ, მაგრამ შემდეგ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს.***

– აზერბაიჯანელები ამას ძალიან კარგად ითვალისწინებენ და პრეტენზიებსაც გამოთქვამენ. სომხები კი, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, რუსებზე განაწყენებული არიან. ისეთი გამონათქვამები და შეფასებები მოვისმინე, საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. დრო გვიჩვენებს, რუსეთმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტის შემოყვანით სამხრეთ კავკასიაში პოზიციები გაიძლიერა თუ ეს საერთოდ სამხრეთ კავკასიიდან ერთხელ და სამუდამოდ მისი წასვლის დასაწყისია.

***– ახლა უცნაურ რამეს ამბობთ.***

– წინასწარ საბოლოო დასკვნის გაკეთება ძნელია. არ შეიძლება, ამის გამო შეშფოთებული არ ვიყოთ. ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტიც სწორედ ამას უკავშირდებოდა და არა რომელიმე სხვა საკითხს.

***– სამხრეთ კავკასიაში დამატებითი რუსული ძალების შემოსვლამ დასავლეთი შეაშფოთა.***

– ანუ დასავლეთი რისკებს ხედავს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოო დასკვნა უნდა გავაკეთოთ, თითქოს სამხრეთ კავკასიაში რუსეთმა თავისი პოზიციები უკვე გააძლიერა. ამას დრო გვიჩვენებს. რუსეთის პოზიციების გაძლიერებაზე ლაპარაკი დღეს, 2020 წლის ბოლოს, შეიძლება, მაგრამ დაველოდოთ, რა იქნება უახლოეს წლებში. გამორიცხული არ არის, ეს იყოს რუსეთის სამხრეთ კავკასიიდან საბოლოო გასვლის დასაწყისი. ასეთი პერსპექტივა შეიძლება გაჩნდეს.

***– რუსეთი პარალელურად აძლიერებს თავის ყოფნას აფხაზეთშიც. ამის ნიშნები ბოლო დროს სოციალურ-ეკონომიკური დახმარების პროგრამის სახით გამოჩნდა. თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ პროგრამაზე?***

– აფხაზეთი არის რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია. რუსეთი, დღიდან მისი აღიარებისა (2008 წლის 26 აგვისტოდან), მიზანმიმართულად მუშაობს იმისათვის, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მოახდინოს აფხაზეთის ინტეგრაცია რუსეთის შემადგენლობაში – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოახდინოს აფხაზეთის ანექსია.

აფხაზეთის ანექსიისკენ იყო და არის მიმართული ყველა ის ე.წ. შეთანხმება, რომლებიც 2008 წლის აგვისტოდან დაიდო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსეთის მთავრობას შორის. მათ შორისაა მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის 24 ნოემბერს. ამ დოკუმენტში წერია საერთო თავდაცვის სივრცისა და საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ.

საერთო თავდაცვის სივრცის შექმნა აფხაზებმა ძალიან კარგად მიიღეს და ყველანაირად უწყობენ ხელს, რომ რუსეთის ბაზები გაძლიერდეს, მაგრამ შეთანხმების მეორე ნაწილის (რაც 2014 წლის 24 ნოემბრის შეთანხმებაში წერია და ეხება საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნას რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის) შესრულებას ისინი აჭიანურებდნენ. თუმცა, დღეს უკვე დადგა ის დრო, როდესაც აფხაზებმა ველარ შეძლეს გაჭიანურება და 12 ნოემბერს ხელი მოაწერეს, როცა ბჟანია მოსკოვში იმყოფებოდა.

მაშინ ბჟანიასთან ერთად იყო ანქვაბიც, რაც არ გახმოვანებულა, მაგრამ მასთან ერთად იმყოფებოდა. დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან დოკუმენტს ბჟანიამ და ანქვაბმა მოაწერეს ხელი, რუსეთის მხრიდან კი – ვიცეპრემიერმა ხუსნულინმა (რომელიც კურირებს აფხაზებთან ურთიერთობას) და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე კოზაკმა, რომელიც ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობას კურირებს.

***– ე.ი. ანქვაბი იქნება, ხაჯიმბა თუ ბჟანია, რუსეთი მაინც თავისას აღწევს.***

– რასაკვირველია, ვინ იქნება, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. რუსეთი თავის საწადელს ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევს, მოვლენების ფორსირებას არ ახდენს, მაგრამ ძალიან მყარი ნაბიჯებით მიდის წინ აფხაზეთის ანექსიისკენ. შეთანხმებას 2014 წელს მოეწერა ხელი. მას შემდეგ 6 წელი გავიდა და ეს საკითხი სულ დგას, მაგრამ აფხაზები ამგვარ დოკუმენტზე ხელის მოწერას რაღაცნაირად თავიდან იცილებდნენ. ახლა სხვა გამოსავალი არ აქვთ.

***– რუსეთს აფხაზები დღეს რატომ ვეღარ შეეწინააღმდეგნენ?***

– ჯერ ერთი, რუსეთმა აღნიშნული საკითხი ულტიმატუმის წესით დააყენა – თუ ეს არ გაკეთდება, მაშინ იმ თანხას, რომელსაც რუსეთი აფხაზეთის ბიუჯეტში რიცხავს (აფხაზეთის ბიუჯეტის თანხების ნახევარზე მეტი რუსეთიდანაა გადმორიცხული), აღარ გადმორიცხავს ან იმ მოცულობით აღარ მოგცემთო. შედეგად, ხელფასებსა და პენსიებს ვერ გასცემს და მთელ რიგ პროექტებს ვერ განახორციელებს.

ამას დაემატა სრული ეკონომიკური კრახი. რუსეთმა სპეციალურად გააკეთა ის, რომ აფხაზეთში ეკონომიკა არ განვითარებულიყო, რაც შეიძლება მეტად ყოფილიყო დამოკიდებული რუსეთზე და თავს მოეხვია ანექსიისკენ მიმართული მოთხოვნები.

ახლა ამას დაემატა კორონავირუსი. აფხაზეთში ვირუსი მძვინვარებს. აფხაზები მას თავიანთი ძალებით ვერ უმკლავდებიან, ისევ და ისევ რუსეთის იმედზე არიან. რუსეთი აფხაზებს დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ შემოთავაზებულ ე.წ. სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას დაეთანხმება. აღნიშნულ პროგრამაში პანდემიებთან და ინფექციებთან ვითომ ერთობლივი ბრძოლაცაა გათვალისწინებული.

***– საინტერესოა, ამ სოციალურ-ეკონომიკური დახმარების პროგრამაზე დათანხმებას თავიდან რატომ იცილებდნენ? რა ბომბებია ამ პროგრამაში?***

– ეს სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებს 45 სხვადასხვა ღონისძიებას. აქედან აფხაზებისთვის რამდენიმე კატეგორიულად მიუღებელია. პირველია ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის საკითხი.

***– ორმაგ მოქალაქეობას აფხაზები დასთანხმდნენ?***

– დოკუმენტში ერთ-ერთ პუნქტად წერია, რომ პროგრამა 2023 წლამდე მთლიანად უნდა განხორციელდეს. ორმაგი მოქალაქეობის საკითხი კი 2021 წლამდე უნდა გადაწყდეს. ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ხელშეკრულებას აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ და რუსეთის მთავრობამ მომავალ წელს უნდა მოაწერონ ხელი. აფხაზების ორმაგ მოქალაქეობაზე საუბარი არ არის. საუბარია რუსების ორმაგ მოქალაქეობაზე, რასაც აფხაზები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ.

***– თუ აფხაზები რუსეთის ორმაგ მოქალაქეობას მოინდომებენ, რუსები არ მისცემენ?***

– რუსები დიდი სიამოვნებით აძლევდნენ აფხაზებს მოქალაქეობას, მაგრამ ბოლო დროს შეაჩერეს იმ პირობით, რომ რუსებსაც მიეცეთ ორმაგი მოქალაქეობის უფლება, რაზეც პასუხისმგებელია აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

***– ქონებაზე რა წერია?***

– როცა საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ პროექტი გამოქვეყნდა, უძრავი ქონების შესახებ ჩანაწერი იყო, მაგრამ ხელმოწერილ პროექტში არ არის. ჩემი დაკვირვებით, უძრავი ქონების საკითხი დოკუმენტის სხვადასხვა მუხლში შეფარულადაა შეტანილი.

***– მაგალითად, როგორი სახითაა?***

– მაგალითად, მე-7 პუნქტში წერია საინვესტიციო პარტნიორობის შესახებ კანონზე.

***– ანუ ქონების საკითხის გადაწყვეტა ინვესტიციებსაა ამოფარებული.***

– უძრავი ქონების საკითხს მუდამ ინვესტიციებს უკავშირებდნენ. მე-8 პუნქტშიც წერია რაღაც ნორმატიული აქტების მიღებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ რუსი მეწარმეების ყოფნას აფხაზეთში და რუსული კომპანიების ინვესტიციების დაბანდებას აფხაზეთის ეკონომიკაში.

ზემოთ აღნიშნულ პუნქტებში გადაწყვეტილია აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების ბედი რუსების სასარგებლოდ. ამას აფხაზები ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ, რადგან უძრავი ქონების ბედის შესახებ პირდაპირი ჩანაწერი არ არის, ალბათ, ბჟანიამ და ანქვაბმა სთხოვეს, შეენიღბათ, რომ აფხაზ საზოგადოებას დოკუმენტი რამენაირად მიეღო.

***– შეთავაზებულ დოკუმენტში კიდევ რა არის მიუღებელი?***

– მიუღებელია ელექტროგადამცემი ქსელების რუსეთის ხელში გადასვლა. ამასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზები და დღემდე ეწინააღმდეგებიან, მაგრამ დღეს ეს ე.წ. შეთანხმების მე-4 პუნქტში წერია.

***– ანუ ენგურჰესის მეორე მხარეს, შეიძლება, რუსები აღმოჩნდნენ?***

– რუსებს სურთ, მეორე მხარეს თვითონ აღმოჩნდნენ. ფაქტობრივად, აფხაზები ენგურჰესის საკითხში არანაირ მხარეს არ წარმოადგენენ. ჩვენ, უბრალოდ, სიტყვიერი შეთანხმება გვაქვს, რომ ენგურჰესში გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% აფხაზეთში წავა. რუსებს უნდათ, ენგურჰესის მართვა და ელექტროგადამცემი ხაზები ხელში ჩაიგდონ.

აფხაზი საზოგადოებისთვის კიდევ ერთი ძალიან მტკივნეული საკითხია რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით მიღებული კანონი უცხო ქვეყნის აგენტების შესახებ, ანუ უცხო ქვეყნის აგენტებად არიან შერაცხული. ამაზე რუსეთმა და აფხაზეთმა 2021 წლისთვის მემორანდუმი უნდა გააფორმონ. ეს უნდათ, აფხაზ საზოგადოებას თავს მოახვიონ, რომ აფხაზეთში თავისუფალი საზოგადოება არ იყოს და თავიდან ბოლომდე გაკონტროლდეს.

***– არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უცხოეთიდან დაფინანსდებიან, აიკრძალება.***

– არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უცხო ქვეყნიდან დაფინანსდებიან, უცხო ქვეყნის აგენტებად შეირაცხებიან, როგორც არის რუსეთში. სფერო არ არის დარჩენილი, რომლის რუსულ კანონმდებლობასთან მისადაგებას რუსეთი ამ ე.წ. პროგრამით არ ცდილობს. როგორც რუსეთის ავტონომიებს აქვთ რუსულ კანონმდებლობასთან მისადაგებული, ზუსტად ისეა გადაწყვეტილი აფხაზეთთან დაკავშირებით ამ ე.წ. პროგრამით.

თვე-ნახევრის წინ, როცა ეს პროექტი გამოქვეყნდა, ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართეთ. რუსეთი, იყენებს რა შექმნილ ძალიან მძიმე ვითარებას, ცდილობს, აფხაზებს თავს მოახვიოს აღნიშნული პროგრამა, რომელიც მიმართულია ამ ტერიტორიის ანექსიისკენ.

ამგვარად, ახლა ჩვენ წინ გვიდევს ე.წ. პროგრამა, რომელიც 2023 წლამდე ცხოვრებაში უნდა განხორციელდეს. ძალიან სასიამოვნოა, რომ 24 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა ძალიან მკაცრი განცხადება, რომ ეს არის აფხაზეთის ანექსიის გეგმა.

***– როგორ შეხვდება ამ ე.წ. პროგრამას აფხაზი საზოგადოება?***

– დოკუმენტს ხელი 12 ნოემბერს მოეწერა, მაგრამ აფხაზი საზოგადოებისთვის 24 ნოემბერს გახდა ცნობილი, როდესაც აფხაზეთში ეს ე.წ. დოკუმენტი გამოქვეყნდა. აღნიშნულ პროგრამას სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ პროგრამას აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის გეგმა-პროგრამა უწოდეს. ველოდებით, რა გამოხმაურებები იქნება, მაგრამ ადამიანები კუთხეში არიან მიმწყვდეული – არც ხელფასები, არც პენსიები, კოვიდი მძვინვარებს.

ამას აფხაზები საკუთარი ძალებით ვერ მოერევიან, თუ რუსეთი არ დაეხმარება. რუსეთი დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ ამ პროგრამას დაეთანხმება. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ბჟანია ამას დასთანხმდა.

ერთ გარემოებაზე მინდა, გავამახვილო ყურადღება – ბჟანია ჯერ კიდევ არ იყო არჩეული, წინასაარჩევნო პერიოდში მას უსვამდნენ კითხვას ორმაგ მოქალაქეობასთან, უძრავ ქონებასთან, ელექტროსიმძლავრეების რუსეთისთვის გადაცემასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაც აფხაზ საზოგადოებაში დიდ წინააღმდეგობას იწვევდა.

ბჟანია ამ კითხვებს პირდაპირ არასოდეს პასუხობდა, ამბობდა, რომ მათი ამოცანაა, 2014 წლის 24 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმება სრულად შეასრულონ. მაშინ საზოგადოებას არ მიუქცევია ყურადღება, რომ 2014 წლის შეთანხმებაში ეწერა საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ, ანუ ბჟანიას რუსეთმა დართო ნება, პრეზიდენტობაზე კენჭი ეყარა და არ ჩამოაშორა დე ფაქტო არჩევნებს, ისე, როგორც ერთი წლის წინ.

***– ანუ ბჟანია რუსეთთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა?***

– ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

# ლევან ზურაბაშვილი პატრიარქთან შეხვედრას ითხოვს

## ადვოკატ გიორგი ჭოჭუას ირაკლი შოთაძესთან შეხვედრა სურს

მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე თავდამსხმელ ლევან ზურაბაშვილის ადვოკატი გიორგი ჭოჭუა გენერალურ პროკურორ ირაკლი შოთაძესთან შეხვედრას ითხოვს. ამის შესახებ ჭოჭუამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა. ადვოკატი აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებით გენერალურ პროკურატურას დღეს მიმართავს.

– მინდა, გენერალურ პროკურორ ირაკლი შოთაძეს შევხვდე, რათა ლევან ზურაბაშვილის საქმე მასთან ძირფესვიანად გავიარო, – აცხადებს ჭოჭუა.

ადვოკატის განმარტებით, მას რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია დაუკავშირდა და საქმეში ჩართვა სთხოვა.

გიორგი ჭოჭუამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ლევან ზურაბაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

ადვოკატი ზურაბაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის 1000-ლარიანი გირაოთი შეცვლას ითხოვს.

ლევან ზურაბაშვილი კი გლდანის მე-8 პენიტენციარული დაწესებულებიდან „ინტერპრესნიუსს“ წერილს უგზავნის.



ზურაბაშვილი სააგენტოსთვის მიწერილ წერილში პატრიარქ ილია მეორესთან შეხვედრას ითხოვს.

„საზოგადოებას ვთხოვ და მოვუწოდებ, უსამართლობის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ციხიდან გამომიყვანონ, რათა ერთად მივაღწიოთ მიზანს.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვთხოვ პატრიარქს, უწმინდეს და უნეტარესს, ილია მეორეს შემხვდეს და საშუალება მომცეს გავესაუბრო„, – წერს „ინტერპრესნიუსისთვის“ მიწერილ წერილში ზურაბაშვილი.

ადვოკატ გიორგი ჭოჭუას განცხადებით, ზურაბაშვილი საზოგადოებას გვერდში დგომისთვის მადლობას უხდის. ადვოკატის თქმითვე, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თვლის, რომ დანაშაული არ ჩაუდენია და ფიქრობს, რომ სიმართლისთვის ბრძოლა ღირს.

ცნობისთვის, ლევან ზურაბაშვილს, რომელიც წერეთლის გამზირზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში შეიჭრა და 19 პირი მძევლად აიყვანა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 23 ნოემბერს შეეფარდა. ბრალდების მხარე დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი მისი 1000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

ზურაბაშვილს საქართველოს პროკურატურამ მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე ბრალი საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი პირის მძევლად ხელში ჩაგდებას. დანაშაული, რომლის ჩადენასაც ზურაბაშვილს ედავებიან, 9-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ნინო კალანდაძე პროკურატურაში დაიბარეს



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნინო კალანდაძე პროკურატურაში დაიბარეს.

აღნიშნული, სავარაუდოდ, დავითგარეჯის საქმეზე მიმდინარე გამოძიებას ეხება.

„ინტერპრესნიუსი“ თავად ნინო კალანდაძეს დაუკავშირდა. კალანდაძე ადასტურებს, რომ პროკურატურიდან დაუკავშირდნენ, თუმცა სხვა დეტალებზე არ საუბრობს.

ცნობისთვის, დავითგარეჯის მამათა მონასტრის არქიმანდრიტი კირიონი საგამოძიებო უწყებისთვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებს, რომ დავითგარეჯის საკითხთან დაკავშირებით ქვეყნის დამაზიანებელ პოზიციას იმჟამინდელი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე გამოხატავდა.

კირიონის თქმითვე, ნინო კალანდაძემ 2012 წლის მაისის მოვლენების დროს ოფიციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უდაბნოს მონასტერი საბჭოთა კავშირის დროიდან საქართველოს არ ეკუთვნოდა და წარმოადგენდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ კუთვნილებას.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობით დააკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა.

პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემული რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავითგარეჯთან მიმართებით.

# პროკურატურამ ყოფილი მეუღლის დაჭრის ფაქტზე დაკავებულს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ დამამძიმებელ გარემოებაში ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტზე ა.გ.-ს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

ბრალდების მხარე ა.გ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 23 ნოემბერს ქ.თბილისში ოჯახში ძალადობისთვის და მუქარისთვის ნასამართლევმა ა.გ.-მ დაარღვია შემაკავებელი ორდერის მოთხოვნები, რომლითაც აკრძალული ჰქონდა ყოფილ მეუღლესთან თ.პ.-სთან მიახლოვება, მივიდა მასთან სამსახურში სუპერმარკეტ ,,კარფურში“ და თ.პ.-ს გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით საკანცელარიო დანით სახისა და ყელის არეში ორი ჭრილობა მიაყენა.

დაზარალებულის მიერ გაწეული წინააღმდეგობის და სუპერმარკეტის დაცვის თანამშრომლების აქტიურობის შედეგად ა.გ.-მ დანაშაულის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო.

სამართალდამცველებმა ა.გ. 2020 წლის 23 ნოემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 381-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა ოჯახის წევრის მიმართ) და 11 პრიმა 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პრიმა ქვეპუნქტით, ,,ვ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, გენდერის ნიშნით და არაერთგზის) წარედგინა.

ბრალდების მხარე ა.გ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ქალთა მიმართ და ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ პროკურატურა აგრძელებს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას. 2020 წლის 9 თვის მონაცემებით:

ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3633 პირის მიმართ;

გენდერული დისკრიმინაციის მოტივი გამოიკვეთა 120 ბრალდებულის მიმართ;

ოჯახურ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელია 94%, ხოლო დაკმაყოფილებულია 54%“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სალომე ზურაბიშვილი: „არ უნდა დავივიწყოთ ქალები და გოგონები, რომლებიც ძალადობის წინაშე დგანან“



საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ოფიციალურ ღონისძიებაზე, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით ონლაინრეჟიმში გაიმართა, სიტყვით გამოვიდა.

– ქალებსა და გოგონებზე გენდერული ნიშნით ძალადობა საუკუნეების განმავლობაში იყო გლობალური საზოგადოების დაღი. თუმცა, კაცობრიობამ ის დისკრიმინაციის ფორმად და ადამიანის უფლებათა დარღვევად მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის წინ ცნო. მას შემდეგ ვცდილობთ ამის გამოსწორებას.

დღეისთვის უკვე ვიცით, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა გენდერული უთანასწორობიდან და საზიანო სტერეოტიპებიდან გამომდინარეობს. გლობალური საზოგადოება შეთანხმდა – მიუხედავად იმისა, რომ ძალადობაზე პასუხი ძლიერ რეაგირებას მოითხოვს, ქალთა და გოგონათა მიმართ აგრესიული ქცევის აღმოსაფხვრელად პრევენციაც თანაბრად მნიშვნელოვანია. ეს მცდელობები ინვესტიციას საჭიროებს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ოჯახში ძალადობის პრევენცია და რეაგირება საქართველოსთვის პრიორიტეტად რჩება.

– სახელმწიფომ ძლიერი მესიჯი გაუგზავნა ქალებსა და გოგონებს, რათა ძალადობის შემთხვევაში მათ მოიძიონ დახმარება და დაუკავშირდნენ სამართალდამცავებსა და სხვა მხარდამჭერ ორგანიზაციებს.

ჩვენ განსაკუთრებით გვეამაყება, რომ 2020 წლის სექტემბრიდან საქართველომ შემოიღო ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი რისკის შემცველ დამნაშავეთა ელექტრონული მეთვალყურეობა. შემაკავებელ ორდერთან ერთად, ეს მექანიზმი დამნაშავის რეალურ დროში მონიტორინგისა და მსხვერპლთან, მსხვერპლის სახლთან, სამსახურთან თუ სხვა სივრცეებში მიახლოების აკრძალვის საშუალებას იძლევა.

არ უნდა დავივიწყოთ ქალები და გოგონები, რომლებიც გენდერული ნიშნით ძალადობის წინაშე დგანან, როდესაც ვიცით, რომ სანამ ჩვენ ვსაუბრობთ, უამრავი ქალი და გოგონა იტანჯება, უმეტესობა მათგანი სრულ სიჩუმეში. ერთიც კი ზედმეტად ბევრია! – დასძინა პრეზიდენტმა.

# ნარკოტიკები კურიერს სკუტერით გადაჰქონდა

## 28 წლის თ.ტ. დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული თ.ტ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 24 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ამოიღეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესანიღბად ერთ-ერთი საკურიერო მომსახურების ზურგჩანთასა და სკუტერს იყენებდა, რის საშუალებითაც გადაადგილდებოდა ქალაქის სხვადასხვა მისამართზე.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“



2020 წლის 25 ნოემბერს პროექტის „საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა COVID 19-ის პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის დასაძლევად“ ფარგლებში გაერომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს COVID 19-ის მიერ გამოწვევის საჭიროებების საპასუხოდ დამცავი აღჭურვილობა გადასცა.

აღნიშნული პროექტის მიზანია საქართველოს მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის მრავალმხრივი მხარდაჭერა COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დასაძლევად.



პროექტის განხორციელებაში ჩართულია გაეროს რამდენიმე სააგენტო: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA). პროგრამის თითოეული აქტივობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ საჭიროებებს პასუხობს და ასევე ეხმიანება გაეროს პრინციპს – „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“.

აღნიშნული დახმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით განხორციელდა.

# გორში ერთმანეთს 2 მანქანა შეეჯახა

## ცოლ-ქმარი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გორში – რკინიგზის დასახლებაში გუშინ, 25 ნოემბერს, ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომლებიც „გორმედის“ კლინიკაში გადაიყვანეს. მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

# ლანჩხუთთან ტრაილერი გზიდან გადავარდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში – სოფელ ჩიბათში ტრაილერი გზიდან გადავარდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, სატვირთოს მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა.

ავტომობილის მძღოლი უვნებლად გადარჩა. მას მსუბუქი დაზიანებები აქვს მიღებული.

საგზაო ინციდენტის შედეგად დაზიანდა ბუნებრივი აირის მილი.

ადგილზე სამაშველო და საპატრულო პოლიციის ჯგუფები მუშაობდნენ.

# შინაგან საქმეთა სამინისტრო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16–დღიან საერთაშორისო კამპანიას უერთდება

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა. სამინისტრო, ერთი მხრივ, ზრუნავს უკვე არსებული მექანიზმების დახვეწაზე და, მეორე მხრივ, მუდმივად ნერგავს თანამედროვე, ქმედით მექანიზმებს რეაგირების ეფექტიანობისთვის.

კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი აქტიურად ჩაერთვება ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებში და ასევე წარადგენს პრეზენტაციებს ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ დანაშაულებსა და სექსუალური შევიწროების ფაქტებზე სამინისტროს რეაგირების, მიღწევებისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

## ჰასან რუჰანი: „ტრამპიზმის დასრულება ირანელი ხალხის გამარჯვებაა“

ირანის პრეზიდენტ ჰასან რუჰანის განცხადებით, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის დამარცხება იმაზე მიანიშნებს, რომ ირანელებმა „ეკონომიკურ ომში“ გაიმარჯვეს.



— ამ ეკონომიკურ ომში ირანელი ერის გამარჯვებისა და მტრის გარკვეული მარცხის ერთ-ერთი უდიდესი გამოვლინება არის ტრამპიზმის ეპოქის დასრულება. ამ ადამიანმა დამოუკიდებელი ერების, განსაკუთრებით კი ირანელებისა და პალესტინელების წინააღმდეგ აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მძიმე დანაშაულები ჩაიდინა, — აღნიშნა რუჰანმა.

მისი თქმით, ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ აშშ-სა და ირანს შეუძლიათ, 4 წლით უკან დაბრუნდნენ და დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე არსებულ პირობებს გადახედონ.

— ირანსა და აშშ-ს — ორივეს შეუძლია განაცხადოს, რომ 2017 წლის 20 იანვრის პირობებს დაუბრუნდებიან, — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

მან იმაზეც ისაუბრა, თუ რას ელოდება ირანი აშშ-ის მომავალი პრეზიდენტისგან.

— ვიმედოვნებთ, რომ პირველივე ნაბიჯებით აშშ-ის მომავალი ადმინისტრაცია დაგმობს ტრამპის პოლიტიკას ირანის მიმართ, — განაცხადა ჰასან რუჰანიმ.

## კანარის კუნძულებთან მიგრანტების ნავი გადაბრუნდა

### 4 ადამიანი დაიღუპა

კანარის კუნძულებთან მიგრანტების ნავის გადაბრუნების შედეგად, სულ მცირე, 4 ადამიანი დაიღუპა.



ნავი, რომელშიც 35 მიგრანტი იჯდა, მაღრიბის რეგიონიდან კანარის კუნძულებისკენ მიემართებოდა.

მაშველებმა 4 მიგრანტის ცხედარი იპოვეს, 28 გადაარჩინეს, დანარჩენებს კი ეძებენ.

კანარის კუნძულებზე წელს 17.000-მდე მიგრანტი ჩავიდა, რაც, გასული წლის მთლიან მონაცემთან შედარებით, 10-ჯერ მეტია. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობამ კორონავირუსის პანდემიის გამო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი დაკარგა.

ესპანეთის მთავრობამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მიგრანტების თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით დაეხმარება.

## აზერბაიჯანის არმია ქელბაჯარში შევიდა

გუშინ, 25 ნოემბერს, მთიანი ყარაბაღის ქელბაჯარის რაიონში აზერბაიჯანის არმიის დანაყოფები შევიდნენ.



ქელბაჯარის რაიონი სომხეთის შეიარაღებული ძალების ბოლო ქვედანაყოფებმა 24 ნოემბერს დატოვეს.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის მიერ ხელმოწერილი სამმხრივი შეთანხმების თანახმად, რაიონი აზერბაიჯანის იურისდიქციაში გადავიდა.

აზერბაიჯანის არმია ქელბაჯარში 15 ნოემბერს უნდა შესულიყო, მაგრამ სომხეთის თხოვნით ვადამ 10 დღით გადაიწია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

## მკვლელი ვეშაპები ზვიგენებს ანადგურებენ



სპეციალისტებმა დაასახელეს ის საიდუმლოებით მოცული არსება, რომელიც იმ დიდი თეთრი ზვიგენების განადგურებაშია დამნაშავე, რომლებიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სანაპიროსთან ბინადრობდნენ. მათი დასკვნა მოცემულია მოხსენებაში, რომელიც ამ ქვეყნის გარემოს დაცვის სამინისტროსთვის არის მომზადებული.

2010-დან 2016 წლის ჩათვლით ფოლს-ბეის ყურეში დიდი თეთრი ზვიგენები წლის განმავლობაში 200-ზე მეტჯერ ნახეს. 2015 წელს ყურეში პირველად შენიშნეს მკვლელი ვეშაპების, იმავე კასატკების წყვილი და მათ პორტი და სტარბოარდი დაარქვეს. ორი წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკის ქალაქ ხანსბაის პლაჟზე ხუთი დაგლეჯილი დიდი თეთრი ზვიგენი ნახეს. მათ აღარ ჰქონდათ ღვიძლი, ხოლო დაზიანებები იმაზე მიანიშნებდა, რომ ისინი კასატკების მსხვერპლნი გახდნენ. მოგვიანებით კიდევ ორი ზვიგენი აღმოაჩინეს, რომლებიც იმავე ხერხით იყვნენ დახოცილი. ამათგან ერთი წელს დაიღუპა.

ამის შემდეგ მალევე დაიწყო ზვიგენების რაოდენობის შემცირება. 2018 წელს ფოლს-ბეის რაიონში ეს მტაცებელი თევზები მხოლოდ 50-ჯერ შენიშნეს ანუ ადრინდელზე ოთხჯერ ნაკლები. 2019 წელს დიდი თეთრი ზვიგენები საერთოდ აღარ გამოჩენილან, ხოლო მიმდინარე წელს მხოლოდ ერთხელ შენიშნეს. ეს იანვარში მოხდა, ხოლო თებერვალში ვიდეოზე იქნა გადაღებული კასატკების დიდ თეთრ ზვიგენზე ნადირობა. ეს ქალაქ კეიპტაუნიდან 400 კილომეტრში ხდებოდა.

## დაკარგულმა ცხრა წლის ბიჭმა ტყეში ორი ღამე ქურთუკის და ფეხსაცმლის გარეშე გაათია



მაშველებმა ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ აშლენდ-სიტის მცხოვრები ცხრა წლის ბიჭი, რომელიც ორი დღის წინ დაიკარგა, ტყეში ქურთუკისა და ფეხსაცმლის გარეშე იპოვეს.

მშობლებმა ბოლოს ცხრა წლის ჯორდან გორმანი კვირას, 15 ნოემბერს ნახეს და მისი სამძებრო სამუშაოების ორგანიზება განახორციელეს. მრავალრიცხოვანი სამძებრო ჯგუფები ტყეს ჩხრეკდნენ.

17 ნოემბერს მაშველებმა ბავშვი მისი სახლიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში იპოვეს. ის ნაკადულის მახლობლად თავშესაფარში იმყოფებოდა, რომელიც თავადვე მოიწყო ტყეში ნაპოვნი ბრეზენტის ნაჭრისგან. როდესაც ბიჭი იპოვეს, მას არც ქურთუკი ეცვა და არც ფეხსაცმელი.

— მან იცოდა, რომ ადგილზე უნდა დარჩენილიყო და მას ვინმე იპოვიდა, — განაცხადა უზომოდ ბედნიერმა ბავშვის მამამ აარონ ჰეტმა. აღსანიშნავია, რომ ბავშვის დაკარგვის დღეებში იმ ადგილებში ჰაერის ტემპერატურა ორ გრადუსს არ აღემატებოდა.

ექიმების თქმით, მართალია ბავშვი გაყინული და მშიერია, მაგრამ კარგ განწყობაზეა. პოლიცია ცდილობს იმის დადგენას, თუ რა გახდა ბავშვის გაუჩინარების მიზეზი.

## მამაკაცმა 25 წლის წინ დაკარგული საფულე იპოვა და პატრონს დაუბრუნა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის მკვიდრმა პლაჟზე 25 წლის წინ დაკარგული საფულე იპოვა.

ჯოზეფ ბიუიზი სოფელ ლენოქს ჰედის სანაპიროზე სეირნობდა, როდესაც შემთხვევით ქვიშაში ჩაფლული საფულე აღმოაჩინა. მასში ეწყო უკვე ვადაგასული ბანკის ბარათები და ხუთი ავსტრალიური დოლარი. ბიუიზმა ნაპოვნ საფულეს ფოტოსურათი გადაუღო და ის ფეისბუქში ადგილობრივ ჯგუფში გამოაქვეყნა.

— პოლ დევის, პლაჟზე თქვენი საფულე ვიპოვე. სამწუხაროდ, ყველა საკრედიტო ბარათს ვადა გასული აქვს, თუმცა ხუთდოლარიანი კუპიურა ჯერ ისევ გამოდგება, — დაწერა ბიუიზმა სოციალურ ქსელში ფოტოსურათის თანმხლებ კომენტარში.

ავსტრალიელმა ჯოდი დევისმა ბიუიზის გამოქვეყნებული სურათი და კომენტარი ნახა და მიხვდა, რომ საფულე მისი მეუღლის ბიძაშვილს ეკუთვნოდა. მან პოლ დევისს განცხადების სკრინშოტი გაუგზავნა. მან დაუდასტურა, რომ 1994 წელს დაკარგა საფულე, როდესაც ახალ წელს ლენოქს ჰედში მეგობრებთან ერთად ზეიმობდა.

20 ნოემბერს ბიუიზი დევისს შეხვდა და მისი დაკარგული საფულე დაუბრუნა. მადლიერების ნიშნად დევისმა მას ექვსი ლუდის ქილისგან შემდგარი შეკვრა გადასცა და რომელიც მათ საუბრის დროს დალიეს.

## მუშებმა კანალიზაციაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე დამზადებული ჰერმესის ბიუსტი იპოვეს



საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მუშებმა ღმერთ ჰერმესის ანტიკური ხანის ბიუსტი საკანალიზაციო სისტემაში მუშაობის დროს იპოვეს.

ათენის კანალიზაციაში მიმდინარე სამუშაოებისას მუშებმა ძველბერძნთა ღმერთის, ჰერმესის ბიუსტი აღმოაჩინეს. ქანდაკება მიწის ქვეშ ერთი მეტრის სიღრმეში იყო ჩაფლული და კარგად იყო შემონახული. ის აგია ირინის მოდნის ქვეშ გამავალ სანიაღვრე კანალიზაციის კედელში იპოვეს.

სავარაუდოდ, ქანდაკება ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეების მიჯნაზეა დამზადებული. ჰერმესის, როგორც ახალგაზრდის ტრადიციული აღწერისგან განსხვავებით, ნაპოვნი ქანდაკება ღმერთს მოზრდილი ადამიანის სახით წარმოგვიდგენს.

ჰერმესს ბერძნები უამრავ როლს მიაწერდნენ. ერთნი მას ნაყოფიერების მფარველად მიიჩნევდნენ, სხვებისთვის ის ღმერთების წარმოგზავნილი იყო ფრთებიანი ახალგაზრდის სახით. ჰერმესის მთავარ როლს მოგზაურებისა და ვაჭრების მფარველობა წარმოადგენდა.

## აფთიაქში ვიზიტმა მამაკაცს 3,5 მილიონი დოლარი მოუტანა



კოლუმბიაში ქალაქ მედელინის მკვიდრმა 3,5 მილიონ დოლარზე მეტი მოიგო ლატარიაში, რომლის ბილეთი ადგილობრივ აფთიაქში შეიძინა.

ქვეყანაში ლატარიის ორგანიზატორმა კომპანიამ ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მამაკაცს ლატარიის ბილეთმა 3.561.360 დოლარის მოგება მოუტანა.

— ამჯერად იღბლიანი მამაკაცი მუდმივი გაზაფხულის ქალაქის მკვიდრია, — ნათქვამია ლატარიის ორგანიზატორი კომპანიის განცხადებაში.

## დათვმა ქალი ხეზე მჯდომი მეუღლის თვალწინ დაგლიჯა



ინდოეთის უტარაკხანდის შტატში ჰიმალაურმა შავმა დათვმა ქალი მისი მეუღლის თვალწინ დაგლიჯა, რომელთან ერთადაც ის შინაური პირუტყვისთვის ბალახის შესაგროვებლად იყო წასული.

47 წლის მახეში დევი მეუღლესთან ერთად მახლობლად მდებარე ტყეში ბალახის შესაგროვებლად წავიდა. ამ დროს მათ თავს დათვი დაესხათ.

— მამაკაცი ხეზე აძვრა და თავი გადაირჩინა, დათვმა კი მისი ცოლი დაგლიჯა, — განაცხადა სატყეო მეურნეობის სამსახურის ოფიცერმა ბადრინახტ აშუტოშ სინგხმა. ქალი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა. სინგხისვე თქმით, მას შემდეგ რაც ყველა ფორმალობა დასრულდება, დაღუპული ქალის ოჯახი ხელისუფლებისგან კომპენსაციას მიიღებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მზია ორველაშვილს გული ატკინეს



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთ გამორჩეულ მონაწილეს, პროფესიონალ მოცეკვავე მზია ორველაშვილს გული ატკინეს:

— იმ დონეზე გულდაწყვეტილი და შოკირებული ვარ, მინდა, გაგიზიაროთ ჩემი დიდი გულისტკენა. შეიძლება, ვიღაცისთვის იყოს ეს სასაცილო, ვიღაცისთვის — სისულელე, მაგრამ ჩემთვის ეს, როგორც გულზე ლოდი, ისეთია.

მოცეკვავეები, რომლებსაც თან გადავყევი, ყველამ რაღაც თითიდან გამოწოვილი მიზეზებით, რომლებიც არაადეკვატურია და თვითონვე ამბობენ, რომ არასწორად იქცევიან, მღალატობენ, რაც გულს ძალიან მტკენს, იმიტომ რომ მე მათ მეგობრობა ვაჩუქე, გავუგე, დედაშვილობა გავუწიე, გვერდში დგომა, სიყვარული, ფინანსური გვერდში დგომა, მხარდაჭერა ყველანაირი და შეუძლებელს ვუკეთებდი გადამთიელს. ეს არის ჩემთვის მართლა გულზე ლოდი და თუ ვინმეს გინდათ კიდევ ეგრე მოქცევა, აქედანვე სჯობს, გაქრეთ ყველანაირად ჩემი ცხოვრებიდან, იმიტომ რომ მკლავთ და გულს მიკლავთ მაგ ყველაფრით. იმათგან-იმისგან ამას არ ველოდი და დიდი მადლობა შენ. სიტყვები არ მყოფნის!

## მიხეილ ზაქარიაშვილი: „რა ვუშველო ჩემს ხალხს — ამაზე ფიქრი მკლავს“



აცხადებს მუსიკოსი, მომღერალი და კომპოზიტორი მიხეილ ზაქარიაშვილი:

— მე არაფერი მაკლია, არც სახლი, არც კარი, არც ფული, მოკლედ, ყველაფერი მაქვს, რაც ადამიანს სჭირდება ნორმალური ცხოვრებისთვის, მაგრამ, რა ვუშველო ჩემს ხალხს, ამაზე ფიქრი მკლავს, ლუკმა არ გადამდის პირში!

არც თანამდებობა მინდა, არც დაფასება მინდა, პენსიონერებს ჰქონდეთ საკმარისი პენსია, ახალგაზრდებს — სამსახური. რა გახდა ამ ქვეყანაში, რომ ყველამ კარგად იცხოვროს? მე მუსიკოსი კაცი ვარ და გავაკეთებ ისე, რომ ყველამ კარგად იცხოვროს! მე ვფიქრობ, ეს ხალხი მოსაშორებელია სამუდამოდ, რომ ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ ამოისუნთქოს.

## „ოქროს მუზამ“ გამარჯვებულები დააჯილდოვა

საერთაშორისო კონკურსმა „ოქროს მუზამ“ გამარჯვებულები დაასახელა.

კონკურსი უკვე 6 წელია ტარდება თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში.

კონკურსმა ამ წლების განმავლობაში არაერთი ნიჭიერი და ამჟამად წარმატებული მომღერალი აღმოაჩინა.

**ნანა დაუშვილი, კომპოზიტორი, ვოკალის პედაგოგი:**

— პანდემიისგან გამოწვეული რთული მდგომარეობის მიუხედავად, ყოველგვარი წესების დაცვით ჩატარდა ვოკალური საერთაშორისო კონკურსი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მის ორგანიზატორებს: ქალბატონ ირინა ცერცვაძეს, მუსიკალურ პროდიუსერ ინგა ბერაძეს, „მუზას“ დირექტორს, ბატონ დავით გეგელაშვილს და ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჟიურის კომპეტენტურ წევრებს, შესანიშნავ მუსიკოსებს: გელა ფარჩუკიძეს, ნუგზარ კვაშალსა და მომღერალ ინგა ბერაძეს.

მადლობას ვუხდი ჩემს მოსწავლეებს, რომლებმაც დაიკავეს საპრიზო ადგილები, უფროს ასაკში ანი ზაზაშვილმა — I ადგილი, ონლაინშესრულებისთვის — უფროს ასაკში მარიამ სარკიაშვილმა — I ადგილი, უმცროს ასაკში ელენე ტალაბაძემ — I ადგილი, გიორგი ცერცვაძემ — I ადგილი, მადო ბერულავამ — I ადგილი, ნიკოლოზ ჯიჯელავამ — II ადგილი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კონკურსზე შესრულდა ჩემი ორი სიმღერა, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ყველას გილოცავთ კონკურსში წარმატებით ასპარეზობას და გისურვებთ მომავალშიც დიდ წარმატებებს.

## ეკატერინე ანდრონიკაშვილი: „ორკვირიანი სრული „ლოქდაუნი“ რას დაგვაკლებს?!“



მსახიობ ეკატერინე ანდრონიკაშვილს აინტერესებს, რას დააკლებს ქვეყანას ორკვირიანი ჩაკეტვა:

— გამაგებინეთ, თუნდაც ორკვირიანი სრული „ლოქდაუნი“ რას დაგვაკლებს ამისთანას? ეკონომიკა ჩამოიშლება? სად გვაქვს ეკონომიკა?! პროდუქტები და აფთიაქები მაინც იმუშავებენ, სწავლა მაინც ონლაინაა, კულტურა მაინც დაკეტილია, სახელმწიფო ხელფასზე ვინც ზის, მაინც მიიღებს ხელფასს და ჯაჭვი რომ გავწყვიტოთ და მედიცინა და ექიმები ამოვასუნთქოთ, არ შეიძლება?!

ასეთ ყოფასა და გარდაცვლილების მატებას არ სჯობია?! რაც შეეხება რესტორნებსა და ტანსაცმლის მაღაზიებს, გავძლოთ როგორმე 2 კვირა! აბა, ასე არც შამფური დავწვათ, არც მწვადი და რა გამოდის? მინისტრის ქებულმა მენეჯმენტმა სრული კრახი განიცადა, არც მზად შევხვდით, არც საწოლფონდი მოგვარდა და არც ტესტების რაოდენობა. იხოცება ხალხი და არა მარტო კოვიდიანები, რადგან დაგეგმილი ოპერაციები გადაიდო, ღმერთმა არ ქნას, რამე დაგემართოს ახლა! რაღაც რადიკალური არ სჯობს გაკეთდეს ამ „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“ მდგომარეობას?!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ოთხი მერვედფინალისტი ცნობილია

**ე ჯგუფი**

**კრასნოდარი-სევილია 1:2**

0:1 რაკიტიჩი (4), 1:1 ვანდერსონი (56), 1:2 მუნირი (90)

სევილიამ რუსეთში კრასნოდარს აჯობა და მერვედფინალში თამაში გაინაღდა.

ესპანელები უკვე მე-4 წუთზე ივან რაკიტიჩის გოლით დაწინაურდნენ. ტაიმიც ასე დამთავრდა. მართალია, შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესულმა ვანდერსონმა მალევე გაათანაბრა და რუსები ახლოს იყვნენ ქულასთან, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ მე-5 წუთზე მუნირ ელ ჰადადიმ გამარჯვების გოლი გაიტანა და სევილიაში 3 ქულით დაბრუნდა.

**რენი-ჩელსი 1:2**

0:1 ჰადსონ-ოდოი (21), 1:1 გირასი (85), 1:2 ჟირუ (90)

ფავორიტი ლონდონური კლუბი იყო, მაგრამ გამარჯვებულის ვინაობა და მერვედფინალის საგზურის ბედი აქაც მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გადაწყდა.

ფრენკ ლამპარდის გუნდი 22-ე წუთზე კალუმ ჰადსონ-ოდოიმ დააწინაურა, რასაც მასპინძლებმა ჟირასის გოლით საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე უპასუხეს და ქულის მოპოვების დიდი იმედიც გაიჩინეს. თუმცა 90-ე წუთზე ოლივიე ჟირუმ ივარგა და ჩელსის მოაგებინა.

4 ტურის თავზე ჩელსი და სევილია 10 ქულით მერვედფინალში არიან და პირველი ადგილის ბედს მომდევნო ტურში ერთმანეთში ესპანეთში, „სანჩეს პისხუანზე" გაარკვევენ. ასევე მომდევნო ტურში შეხვდებიან ერთმანეთს კრასნოდარი და რენი, რომელთაც თითო ქულა აქვთ და ევროპა ლიგაზე გადამსვლელის ბედს გადაწყვეტენ.

**ფ ჯგუფი**

**ლაციო-ზენიტი 3:1**

1:0 იმობილე (3), 2:0 პაროლო (22), 2:1 ძიუბა (25), 3:1 იმობილე (55პ)

ლაციომ შინ ჩირო იმობილეს დუბლით 3:1 დაამარცხა ზენიტი და სატურნირო ცხრილში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. თუმცა ეს დამშვიდების უფლებას არ აძლევს, რადგან უშუალო კონკურენტ ბრიუგესთან სათამაშო აქვს, ამასთან, შინ და ძნელად წარმოსადგენია, რომ „ლაციალემ" ეს უპირატესობა გაანიავოს.

**დორტმუნდი-ბრიუგე 3:0**

1:0 ჰოლანი (18), 2:0 სანჩო (45), 3:0 ჰოლანი (60)

გერმანელებმა საკუთარ მოედანზე ბრიუგეს უმასპინძლეს და ერლინგ ჰოლანდის დუბლითა და ჯეიდონ სანჩოს გოლით 3:0 დაამარცხეს.

ლუსიენ ფავრის გუნდმა 9 ქულას მოუყარა თავი და, ცხადია, ჯგუფიდან გასვლა არ გაუჭირდება, რადგან მესამე ადგილს უკვე 5 ქულითაა დაშორებული.



**ჯ ჯგუფი**

**იუვენტუსი-ფერენცვაროში 2:1**

0:1 უზუნი (19), 1:1 რონალდუ (35), 2:1 მორატა (90)

იუვე გამოკვეთილი ფავორიტი იყო, მაგრამ ლაშა დვალის ფერენცვაროშთან შინ ბევრი იწვალა, თუმცა 3 ქულა აქტივში მაინც ჩაიწერა. ამას კი მეტოქის მეკარესაც უნდა უმადლოდეს.

უნგრელი უზუნის გოლს კრიშტიანუ რონალდუმ სწრაფად უპასუხა, აი, გამარჯვების გოლის გასატანად ტურინელებს დიდი დრო დასჭირდათ და საბოლოოდ, მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე ალვარო მორატამ შეძლო თავის გამოჩენა. მისი დარტყმული ბურთი მარტივი ასაღები იყო, მაგრამ...

უნგრელები თავს კარგად იცავდნენ და ამაში დვალის წვლილიცაა, რომელმაც ტურინელთა წინააღმდეგ 90 წუთი ითამაშა. 3-მცველიან ტაქტიკაში ცენტრალურ მარცხენა მცველად ქართველმა ფეხბურთელმა ურიგო შთაბეჭდილება სულაც არ დატოვა და მრისხანე ტურინელ შემტევებს რიგ ეპიზოდებში ჯაბნიდა კიდეც.

**დინამო (კ)-ბარსელონა 0:4**

0:1 დესტი (52), 0:2, 0:3 ბრაითვაითი (57, 70პ), 0:4 გრიზმანი (90)

ლიონელ მესის, ფრენკი დე იონგისა და ჟერარ პიკეს გარეშე ბარსამ კიევში დინამოს შავი დღე აყარა. არადა, პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მაგრამ ანტრაქტის შემდეგ კატალონელებმა 4 უპასუხო გოლი გაიტანეს და ჯგუფს უდანაკარგოდ ლიდერობენ.

იუვენტუსს 9 ქულა აქვს და ფლეი ოფშია, ფერენცვაროში და დინამო კი მე-3 ადგილისა და, შესაბამისად, ევროპა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ.

**ჰ ჯგუფი**

**პსჟ-ლაიპციგი 1:0**

1:0 ნეიმარი (11პ)

პარი სენ ჟერმენმა ლაიფციგი ნეიმარის პენალტით 1:0 დაამარცხა. ორივე გუნდს 6-6 ქულა აქვს და არავინ იცის, მომდევნო ორ ტურში რა მოხდება. არც ისაა გამორიცხული, რომ მანჩესტერი მოიტოვონ უკან, რადგან ორივეს სათამაშო აქვს ინგლისურ გრანდთან და არც ის, რომ ან ფრანგული, ან გერმანული გუნდი ჯგუფში ჩარჩეს.

**მანჩესტერი-ბაშაქშეჰირი 4:1**

1:0, 2:0 ბრუნო ფერნანდეში (7, 19), 3:0 რეშფორდი (35პ), 3:1 ტიურუჩი (75), 4:1 ჯეიმსი (90)

მანჩესტერ იუნაიტედმა ბრუნო ფერნანდეშის ლიდერობით ბაშაკშეჰირი 4:1 დაამარცხა და 9 ქულით ჯგუფს ისევ ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. „წითელი ეშმაკები" ახლოს არიან მერვედფინალთან, მაგრამ წინ ორი რთული მატჩი ელით და ყურადღება არ უნდა მოადუნონ.

## საქართველოს ნაკრებმა კორონა დაიდგა და საფრთხეშია



საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ფინეთშია, სადაც ევრობასკეტ 2022-ის საკვალიფიკაციო ტურნირის 2 მატჩს გამართავს. ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდი 28 ნოემბერს მასპინძელ ფინეთს დაუპირისპირდება, ხოლო 30-ში შვეიცარიას ეთამაშება. ეს გახლავთ ფიბა-ს მიერ კოვიდპანდემიის გამო შეცვლილი ფორმატი, რაც ერთი შესარჩევი ჯგუფის მთლიანი ფანჯრის თამაშების ერთ ქვეყანაში, კონკრეტულად კი ერთ დარბაზში ჩატარებას გულისხმობს.

თუმცა ამ მატჩების ჩატარება საფრთხეშია – როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ნაკრების კალათბურთელ თად მაკფადენს კორონავირუსი დაუდასტურდა.

ცხადია, იმ პრობლემების ფონზე, რომლებიც ნაკრებს ფინეთში გამგზავრებამდე ჰქონდა, ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დანაკლისია, მაგრამ კიდევ უფრო საეჭვო ის არის, საერთოდ ითამაშებს თუ არა ნაკრები ფინეთთან და შვეიცარიასთან. საქმე ისაა, რომ მაკფადენმა გუნდთან ერთად ივარჯიშა და თანაგუნდელებთან კონტაქტი ჰქონდა. იმედს ვიტოვებთ, რომ მაკფადენიდან სხვა კალათბურთელები არ დაინფიცირდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი ტექნიკურ წაგებას ვერ ასცდება.

საქართველოს ნაკრები თბილისიდან სუპერლიგაში მოთამაშე 8 კალათბურთელით გაემგზავრა. ესენი არიან: მერაბ ბოქოლიშვილი, საბა ლობჟანიძე, გივი ბაქრაძე, ლუკა ზაქრაძე, ბექა ბექაური, ალექსანდრე ფევაძე, ლუკა ბულაშვილი და ილია ლონდარიძე.

ნაკრებს ფინეთში თად მაკფადენი, გიორგი შერმადინი, გიორგი კორსანტია და გიორგი ტურძილაძე შეუერთდნენ.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ესპოოს „მეტრო არენაზე" 2 ვარჯიში 12 კალათბურთელით გამართა.

შემდეგ იყო მაკფადენის ამბავი და გუნდს დროებით ვარჯიში აეკრძალა.

## ფიფა თერთმეტიდან საუკეთესოს ელის

ფიფამ ის 11 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოსთვის იბრძოლებენ.

დაჯილდოება 17 დეკემბერს გაიმართება და შექმნილი ვითარების გამო ონლაინ ჩატარდება.

**ფიფას რჩეული საუკეთესო თერთმეტეული კი ასეთია:**

ტიაგო ალკანტარა (ესპანეთი, ბაიერნი/ლივერპული), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია, იუვენტუსი), კევინ დე ბრუინი (ბელგია, მანჩესტერ სიტი), რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი, ბაიერნი), სადიო მანე (სენეგალი, ლივერპული), კილიან მბაპე (საფრანგეთი, პარი სენ ჟერმენი), ლიონელ მესი (არგენტინა, ბარსელონა), ნეიმარი (ბრაზილია, პარი სენ ჟერმენი), სერხიო რამოსი (ესპანეთი, რეალი), მუჰამედ სალაჰი (ეგვიპტე, ლივერპული), ვირჯილ ვან დეიკი (ნიდერლანდები, ლივერპული).

შეგახსენებთ, 2019 წლის ფიფას საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესი გახდა.

## ბორჯღალოსნებს მატჩი არ დააკლდება



„შემოდგომის ერთა თასზე" საქმე ისე მიდიოდა, რომ საქართველოს ნაკრებს ერთი მატჩით ნაკლები უნდა ეთამაშა. ფიჯის ეროვნულ გუნდში 29 მორაგბეს კორონავირუსი დაუდგინდა და ჯგუფის მატჩები არ გაუმართავს. შედეგად, კუნძულელები ბოლო ადგილზე დარჩებიან, რადგან სამივე მატჩში წაგება ჩაეთვალათ.

თუმცა ფიჯელები უკვე ვარჯიშობენ და, წინასწარი ინფორმაციით, 5 დეკემბერს მოედანზე გავლენ. ეს კი საქართველოსთან მოუწევთ, რადგან ჯგუფში „ბორჯღალოსნებიც" ბოლო ადგილს ვერ ასცდება.

მანამდე საქართველო ირლანდიას შეერკინება. ეს იქნება ამ გუნდების მეოთხე ჯახი: 1998 და 2002 წლებში მეტოქეს მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე დუბლინში ვეთამაშეთ და მეტოქემ ორივეჯერ დიდი სხვაობით მოიგო – 70:0 და 63:14.

2007 წლის მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნებმა" ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარეს. მართალია, 10:14 წავაგეთ, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მრისხანე მეტოქე სენსაციურ მარცხს გადაურჩა. ამ თამაშში საქართველომ პირველი ქულა მოიპოვა მსოფლიო თასებზე მონაწილეობის ისტორიაში.

ბოლოს ირლანდიას 2014 წელს ტესტ-მატჩში ასევე დუბლინში ვეთამაშეთ და მასპინძლებმა 49:7 მოიგეს.

ლევან მაისაშვილის გუნდი ირლანდიელებთან მატჩს დანაკლისით ხვდება. თითქმის გამორიცხულია კოტე მიქაუტაძის თამაში, რომელმაც უელსთან მატჩში ნეკნი დაიზიანა. თუმცა სამწვრთნელო შტაბი იმედს იტოვებს, რომ ფიჯელებთან სათამაშოდ მზად იქნება.

რადგან მეოთხე თამაშის ჩატარების პერსპექტივა გამოჩნდა, საქართველოს ნაკრები როტაციას ამჯერადაც მიმართავს. თუ რა შემადგენლობას გაიყვანს მოედანზე მაისაშვილი, ეს ხვალ გვეცოდინება.

თამაში კი 29 ნოემბერს, საქართველოს დროით 18 საათზე დუბლინში, ცნობილ „ავივა სთედიუმზე" გაიმართება.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენები „შემოდგომის ერთა თასზე" მოგებას თუ არა, პირველი ქულების აღებას მაინც მოახერხებენ, რათა საკუთარივე ანტირეკორდი არ გაზარდონ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**24 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| კრასნოდარი-სევილია | 1:2 |
| რენი-ჩელსი | 1:2 |
| ლაციო-ზენიტი | 3:1 |
| დორტმუნდი-ბრიუგე | 3:0 |
| იუვენტუსი-ფერენცვაროში | 2:1 |
| დინამო (კ)-ბარსელონა | 0:4 |
| პსჟ-ლაიპციგი | 1:0 |
| მანჩესტერი-ბაშაქშეჰირი | 4:1 |

**კალეიდოსკოპი**

## ზვიგენმა მამაკაცს ხელი მოაჭამა

ავსტრალიის ქალაქ ბრუმის პლაჟზე ზვიგენმა 60 წლის მამაკაცი იმსხვერპლა, რომელიც ნაპირთან ახლოს თავთხელში ბანაობდა.




მტაცებელი თევზის თავდასხმა კვირას, 22 ნოემბერს მოხდა, ადგილობრივი დროით 8:45 საათზე. წინასწარი ვერსიით, მამაკაცს თავს ვეფხვისებური ზვიგენი დაესხა. მან თავის მსხვერპლს ხელი მოაჭამა და ასევე დაზიანება მიაყენა ბარძაყის არეში. მამაკაცი ნაპირზე იქ მყოფმა სხვა დამსვენებლებმა ამოიყვანეს. ისინი შეეცადნენ მისთვის პირველადი დახმარება გაეწიათ და სამედიცინო დახმარებაც გამოიძახეს, თუმცა მამაკაცი სასწრაფო დახმარების მისვლამდე გარდაიცვალა.

ამ დროისთვის პლაჟი დამსვენებლებისთვის დახურულია, აკვატორიას კი პოლიციის კატერები პატრულირებენ.

ადგილობრივების თქმით ბრუმის რაიონში ასეთი თავდასხმა დიდი ხანია არ მომხდარა. დაახლოებით 20 წლის წინ ზვიგენის თავდასხმის შედეგად მარგალიტების შემგროვებელი დაიღუპა.

## კუნძულ კრიტის სანაპიროზე მკვდარი „ურჩხული" იპოვეს



ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საბერძნეთის კუნძულ კრიტის სანაპიროზე უცნობი არსების ლეში იპოვეს.

„ურჩხულის" ლეში კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე ძლიერი ქარიშხლის შემდეგ აღმოაჩინეს, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ის მომცრო ზომის ბეჰემოთს წააგავს, აქვს ოთხი კიდური და არ აქვს ბეწვის საფარველი.

სოციალური ქსელების მომხმარებლები ვარაუდობენ, რომ ეს არსება მკვდარი ღორი, ძაღლი ან სელაპია. კრიტის ბუნების ისტორიის მუზეუმის ხერხემლიანთა განყოფილების თანამშრომელი პეტროს ლიმპერაკისი ფიქრობს, რომ ნაპოვნი არსების ლეში მაჩვისაა, რომელმაც ბეწვი დაკარგა და წყალში დიდხანს ყოფნისგან გასივდა. რომელია ნამდვილი ამ ვერსიებიდან, ამას არსების გენეტიკური ანალიზი აჩვენებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პიტნითა და ყინულით შეზავებული რომი ან ვისკი; 2. ლეო დელიბის ოპერა; 3. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 4. დესერტი, ტკბილეული; 6. ქართველ მწერალ არსენ მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 11. ქალის სასიმღერო ხმა; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 16; ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 19. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 21. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 5. სახელმწიფოს მიერ ფირმებზე, კერძო პირებზე გაცემული დახმარება; 7. მდინარე კახეთში; 8. კროსვორდის გამომგონებელი; 10. სწრაფმავალი სპორტული მოტორიანი ნავი; 12. ძვირფასი სარეწაო თევზი; 13. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ღვინის დანალექი; 20. მადნის, ქვანახშირის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 23. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 24. მკბენარი მწერი; 25. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ზომის ნიმუში; 26. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფეხბურთელი; 27. უვიცი, უცოდინარი ადამიანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ქლუხორი; 2. ხრიდოლი; 3. ბაჰრეინი; 4. გულანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. პროტესტი; 13 ანაკლია; 16. ჟოეკვარა; 17. ბორჯომი; 19. კომბლე; 20. საუზმე.

**თარაზულად**: 6. ალოტროპია; 7. პუნსონი; 8. ჰარირა; 10. ჰოსტელი; 11. ყორე; 14. ბენეტონი; 15. ფოლკლორი; 18. ჯოკერი; 21. ოტიატრი; 22. ყანწი; 23. ეოლითი; 24. ვანდალები.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ყაბახი; 2. კირხე; 3. ფეიხოა; 4. ბალეტი; 6. სალიამი; 9. მერლო; 11. გახარია; 15. განდაგანა; 16. ჰაკერი; 17. მუკუზანი; 19. ინგლისი; 21. ბეზმენი; 22. დასინი.

**თარაზულად**: 5. ტალავარი; 7. ამსტელი; 8. ალუპკა; 10. კეტჩერი; 12. ტოკაი; 13. აგარა; 14. პილიგრიმი; 18. ომარი; 20. ვადუცი; 23. ბაიათი; 24. ზარა; 25. ვარანი; 26. ნანა; 27. ანანური.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3138

ევრო — 3.9424

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4180

100 რუსული რუბლი — 4.3806

## ამინდის პროგნოზი 26 ნოემბრისათვის




## დიეგო მარადონა გარდაიცვალა



გუშინ, 25 ნოემბერს, დიდი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა გარდაიცვალა.

ის 60 წლის იყო.

მარადონა მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატის მონაწილეა. 1986 წლის ჩემპიონი და 1990 წლის ვიცეჩემპიონი. რიგი გამოკითხვების მიხედვით, მე-20 საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა.

ბოლო პერიოდში ის იყო კლუბ „ხიმნასიას“ მწვრთნელი.

4 ნოემბერს მარადონას თავის ტვინის მძიმე ოპერაცია გაუკეთდა, რის გამოც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

## მოდრიჩი: „კარიერის დასრულება რეალში მსურს“



მადრიდის რეალის ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ კარიერის დასრულება რეალში სურს და სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს. მოდრიჩმა ასევე აღნიშნა, რომ უკვე სოლიდურ ასაკშია, ამიტომ მას მხოლოდ რამდენიმე წელი დარჩა:

— გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, რომ, სავარაუდოდ, რამდენიმე წელიწადში კარიერას დავასრულებ და მინდა, ეს რეალში მოხდეს, რადგან ეს გუნდი ძალიან მიყვარს და აქ უამრავი ტიტული მოვიგე. სხვა კლუბში გადასვლაზე არ ვფიქრობ.

## გრიზმანი: „გატანილი გოლი ნამდვილად მჭირდებოდა“

ბარსელონის ფრანგმა ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა კიევის დინამოს კარში გატანილ გოლზე ისაუბრა და თქვა რომ მისთვის ეს გოლი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ხშირად აკრიტიკებენ და ეს სასიამოვნო არ არის:

— ეს რთული პერიოდია როგორც ჩემთვის, ასევე გუნდისთვის, ამიტომ მიხარია, რომ გოლის გატანა შევძელი და მინდა, მომავალ შეხვედრებშიც იგივე გავიმეორო. ბარსელონას აქვს პოტენციალი და ჩვენ აუცილებლად მოვუმატებთ.

## მესიმ სერჟინიო დესტი დანი ალვეშს შეადარა



ბარსელონის კაპიტანმა ლიონელ მესიმ კიევის დინამოსთან შეხვედრაზე ისაუბრა და განსაკუთრებით სერჟინიო დესტის თამაში გამოყო, რომელმაც მას დანი ალვეში მოაგონა. მესის თქმით, დესტს დიდი პოტენციალი აქვს:

— დინამოს წინააღმდეგ ყველა ფეხბურთელმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით დესტს გამოვარჩევდი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მან დანი ალვეში მომაგონა. იმედი მაქვს, ის გააგრძელებს პროგრესს და ბარსელონის ლიდერი გახდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 26 ნოემბრისათვის

**ვერძი** — წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო გადამოწმების შემდეგ მიიღეთ. **კურო** — დისციპლინირებულობა, მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. **ტყუპები** — ჭორებს ნუ აჰყვებით. იღბლიანი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. **კირჩხიბი** — ენერგიულად ხართ. ისეთ საქმეებსაც კი მარტივად აგვარებთ, რომლებსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. **ლომი** — პერსპექტიული დღეა. ახალი იდეების რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. ნებისმიერი წამოწყება სასურველი შედეგით დამთავრდება. **ქალწული** — საკმაო სირთულეები შეგხვდებათ. შესაძლოა, ვალის დაბრუნება და ხელახლა აღება მოგიხდეთ. **სასწორი** — საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. უმჯობესია, თუ ჯერ დაწყებულ საქმეს დაამთავრებთ. **ღრიანკალი** — არ გარისკოთ. ყველა საქმე მომდევნო კვირისათვის გადადეთ. დაეხმარეთ ბავშვებსა და მეგობრებს. **მშვილდოსანი** — გამორიცხული არ არის, საქმიან შეხვედრაზე გაემგზავროთ ან შემოქმედებითი არეალი გაიფართოვოთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** — საქმიანი პარტნიორები იმედს გაგიცრუებენ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **მერწყული** — აქტიური, ნაყოფიერი დღეა. ნებისმიერი პრობლემა დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. იყავით გონიერი და წინდახედული. **თევზები** — ინტუიცია გიმახვილდებათ. შინაგან ხმას მოუსმინეთ და სპონტანურად ნუ იმოქმედებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

მიხო ქალაქში მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ეკითხება:

— რამდენი გინდა, გო?

— 150 ლარი!!!

— რა ამბავია, რა, მაგისტრატურა გაქვს დამთავრებული?!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ჩვენ ოჯახში სამოქალაქო ომია გაჩაღებული.

— შენც ადექი და სამშვიდობოები შეიყვანე...

— არ გამოდის...

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემ ცოლს სიდედრი სურს, მე კი — მეზობელი.

●●●

სტუდენტები ლექტორს ეკითხებიან:

— შეიძლება თქვენს შემდგომ ლექციაზე არ მოვიდეთ?

— შეიძლება.

— და არ აღნიშნავთ?

— სამსახურში არ ვსვამ!

●●●

დედა შვილს ეუბნება:

— შვილო, შენ ძალიან ცუდ კამპანიას დაუკავშირდი...

— დედა, ის მე ჩამოვაყალიბე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ამ ქალების ვერაფერი გამიგია...

— რაშია საქმე?

— ბიჭო, ბრაზდებიან, როდესაც ასაკს ეკითხები და კიდევ უფრო მეტად ბრაზდებიან, როდესაც მათი დაბადების დღე გავიწყდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## გიორგი ვარდოსანიძემ ფილმი გადაიღო

მსახიობმა გიორგი ვარდოსანიძემ რეჟისორობა დაიწყო და პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმიც გადაიღო.



„ბიჭუნა“ — ასე ჰქვია ფილმს, რომელიც გიორგიმ ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ მიხედვით გადაიღო.

## დიანა ღურწკაიას კორონავირუსი აქვს



მომღერალ დიანა ღურწკაიას კორონავირუსი აქვს. ამის შესახებ რუსულ მედიას მისმა ძმამ და პროდიუსერმა რობერტ ღურწკაიამ შეატყობინა.

მისი ინფორმაციით, დიანას კორონავირუსი დაბალი სიცხეებით, იოლ ფორმებში აქვს და განსაკუთრებული გართულებები არ აღენიშნება. მომღერალი სახლში მკურნალობს, თუმცა ექიმების მუდმივი დაკვირვების ქვეშ იმყოფება.

## ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ ფონდი შექმნა

ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ ხელმძღვანელებმა ფონდი დააარსეს, რათა შექმნილი კრიზისი როგორმე გადალახონ.

ფონდის მესვეურები მოუწოდებენ საზოგადოებას, დაეხმარონ ანსამბლს:

— შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა ფონდი.

დღეიდან ყველა ჩვენს გულშემატკივარს შეგეძლებათ, წვლილი შეიტანოთ და დაეხმაროთ ანსამბლს.

გისურვებთ ჯანმრთელობას!



## ია ფარულავა: „საერთოდაც არ მეცინება“



მსახიობი და ტელეწამყვანი ია ფარულავა მოუწოდებს ყველას, მაქსიმუმი გააკეთონ იმისთვის, რომ ქვეყანაში კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი შემცირდეს:

— დაიცავით დისტანცია! იარეთ ერთმეტრიანი ჯოხებით და ახლოს არავინ გაიკაროთ! პირბადეს დაამატეთ ფარი! ზედმეტად ნუ გახვალთ სახლიდან!

ტიკარაძე მერე დავწვათ კოცონზე.

პ.ს. საერთოდაც არ მეცინება.

## ნუცა სურგულაძე საკუთარ კერძებს გვთავაზობს




„მასტერშეფის“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებული ნუცა სურგულაძე კულინარიისა და გემრიელი კერძების მოყვარულებს აძლევს საშუალებას, მის მიერ მომზადებული კერძები დააგემოვნონ:

პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე „ნუგაში“ საქართველოს მასტერშეფი ნუცა სურგულაძე და შეფი საფრანგეთიდან გაბრიელ მაგუბი თითოეული ჩვენგანისთვის მთელი გულით გამორჩეულ და საინტერესო მენიუს ქმნიან.

## „ნიჭიერის“ მონაწილე მარიამ ნადიბაიძეს 1000-ლარიანი ხელფასი დაენიშნა



„ნიჭიერი 2020“-ის მონაწილე მარიამ ნადიბაიძეს 1000-ლარიანი ხელფასი დაენიშნა.

ანრი ჯოხაძის ოქროს ღილაკის მფლობელი ოპერის მომღერალი საქართველოს ეროვნული ლატარიის რჩეული გახდა. მარიამ ნადიბაიძე ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 1000-ლარიან ხელფასს მიიღებს.

## დემნა გვასალია ახალ კოლექციას ვიდეოთამაშის სახით წარადგენს



ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია თავის ახალ კოლექციას ვიდეოთამაშის სახით წარადგენს. ინფორმაცია „ბალენსიაგას“ პრესსამსახურმა გაავრცელა:

— დემნა „ბალენსიაგას“ მომავალ კოლექციას ვიდეოთამაშის სახით წარადგენს. ვიდეოთამაშში მოქმედება 2031 წელს ხდება. ამავე სახელწოდებისაა ლოიკის ახალი ტრეკი, რომელიც ვიდეოთამაშთან ერთად გავრცელდება.

ნაჩვენები კოლექცია 2021 წლის შემოდგომის მთავარი კოლექცია იქნება. ვირტუალურ უტოპიაში მოთამაშეებს შეეძლებათ, სხვადასხვა ტური გადალახონ, გამარჯვების შემთხვევაში კი ისინი ე.წ. სხვა სამყაროში გადავლენ. ვიდეოთამაშის პრემიერა 6 დეკემბერს არის დაგეგმილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 2. მგალობელი ჩიტი; 3. მოვარდნილი წყალი; 4. ქართველთა სათვისტომო მამული პარიზის მახლობლად; 5. ღვინის ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 8. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება საზღვაო ფლოტში; 9. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 12. შვეიცარიის ისტორიული სახელწოდება; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 17. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 19. ჰერმეტული მინის ჭურჭელი წამლისთვის; 20. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

**თარაზულად:** 6. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 10. გულის ნაწილი; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 14. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. ცნობილი ქართველი ჰომეოპათი ექიმი, პროფესორი; 18. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 21. ბაზარში დაწესებული ფასი; 22. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 23. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 24. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

